№ 84

ოთხშაბათი, 25 მაისი

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 84

ოთხშაბათი, 25 მაისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი **№ 922**.

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა ფრეილინის ქუჩაზე № 5.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მაისიდან წლის დამლევამდის 6 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

გიორგი და დიმიტრი დავითის ძენი, ელისაბედ გრიგოლის ასული და ანნა ივანეს ასული ჯმუხაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ანნა ანდრიას ასული ჯმუხაძისა

დედა პირველთა და დედამთილი მეორეთა. პანაშვიდები დანიშნულია ყოველ-დღე, საღამოს 7½ საათზე, განსვენებულის ბინაზე, საზოგადო ქუჩაზე, საკ. სახლში **№ 7.** მიცვალებულს გამოასვენებენ შაბოს, 28 მაისს, დილის 9½ საათზე, კალოუბნის ეკკლესიაში. დაკრძალავენ კუკიის მართლ-მადიდებელთა ეკკლესიაზე. (3—1)

გიორგი და დავით ანდრიას ძენი ლაზარაშვილნი, პელაგია ანდრიას ასული ოსეფოვისა, მარიამ ანდრიას ასული ვეფხვაძისა და ეკატერინე გიორგის ასული ლაზარაშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი ოთხი—დისას, ხოლო უკანასკნელი—მულის

ანნა ანდრიას ასულის ჯმუხაძისას.

პანაშვიდები დანიშნულია ყოველ დღე, საღამოს 7½ საათზე, განსვენებულის ბინაზე, საზოგადო ქუჩა, საკ. სახლი **№** 7. მიცვალებულს გამოასვენებენ შაბათს, 28 მაისს, დილის 9½ საათზე, კალოუბნის ეკკლესიაში. დაკრძალავენ კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე. (3--1)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი ამით აუწყებს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომ კვირას, ექვს ივნისს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში, **დანიშნულია საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა.** განსახილველი საგნებია: 1) ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის მოგებათა განაწილების პროექტის განხილვა, 2) თავად-აზნაურთა სამეურნეო კაპიტალიდან თავად-აზნაურთა აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო თანხის აღების შესახები საკითხი და 3) თელავისა და გორის მაზრებში ვაჟთა გიმნაზიების დაარსების საკითხი.

(3—1).

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც

ნაწერები

პეტრე უმიკაშვილისა

გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.

ფასი 30 კაპ.

(30—1)

ქალთა ამხანაგობის სამკერვალო სკოლის სასარგებლოდ

დღეს, 25 მაისს, ნემეცურ ბაღში გაიმართება

საყმაწვილო სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრითურთ. სამხედრო მუსიკის ორი ხორო. სკოლის მოწაფეთა სასიმღერო გუნდი. ბავშვებისათვის სხვადასხვა გასართობი.

მოზრდილდთათვის ღამის 12 საათამდის ცეკვა. შესასვლელი ფასი: 30 კ., ყმაწვილთათვის და მოწაფეებისთვის 20 კ.

დასაწყისი 4 საათზე.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აპეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ—ქალის.და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და. ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 -ებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ი ვ ა ნ ე პ. ა ხ ა ლ შ ე ნ ი შ ვ ი ლ ი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“

პირველ ივნისიდან **გადადის** მიხეილის ქუჩაზე, № 97.

ახირებული მოთხოვნა

ქალაქის საბჭომ 19 მაისის კრებაზე, სხვათა შორის, განიხილა ცნობილ ქველმოქმედ ძმათა ზუბალაშვილების წინადადება—მიიღოს ქალაქმა განსვენებულის კონსტანტინე ზუბალაშვილის სახელობაზე აგებული სახალხო სახლი—თეატრი.

ხსენებული უზარმაზარი შენობა ზუბალაშვილებს დასჯდომიათ 300,000 მან. და ეგოდენ ძვირფასი სახალხო განძი, კულტურული ტაძარი გრძნობა-გონების განვითარებისათვის, ქველმოქმედ ზუბალაშვილებმა ქალაქ ტფილისს უფეშქაშეს.

ქალაქის საბჭოს უდიდეს მადლობის მეტი რაღა ეთქმოდა, მაგრამ დახე ადამიანის უმადურობას... თურმე, ნუ იტყვით, საბჭოს არაფრად ეჭაშნიკა ზუბალაშვილის ყოვლად მართებული ორგანიზაცია სახალხო სახლის მართვა-გამგეობისა.

საქმე ის არის, რომ ზუბალაშვილები საჭიროდ და სამართლიანად სცნობენ, რომ ხსენებულ სახლს განაგებდეს ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით განსაკუთრებული კომიტეტი, რომლის წევრებადაც მოწვეულ იქმნებიან ქალაქის საბჭოს ერთი წარმომადგენელი, სომხურ და ქართულ დრამატიულ საზოგადოებათა მიერ ქალაქის ხმოსნებში არჩეული თითო კაცი, სიფხიზლისა და სახალხო კითხვების საზოგადოებათა თითო კაცი და ერთიც თვით ზუბალაშვილებისაგან დანიშნული წევრი.

ამ ექვსმა დაწესებულებამ კანდიდატები უნდა დაასახელოს, ხოლო საბჭო ამტკიცებს კომიტეტის წევრთ. ყოველ ორის წლის შემდეგ კომიტეტის წევრნი იცვლებიან. საბჭოვე ამტკიცებს ხარჯთ-აღრიცხვას, ხოლო ყოველივე შემოსავალი ქალაქის საკუთრებას შეადგენს.

როგორც მკითხველი ხედავს, ამაზე უფრო ხელსაყრელი პირობა ქალაქისათვის წარმოუდგენელიც არის. მესამედ-მილიონად ღირებულ ქონებას გთავაზობენ და ამ ქონებისა და მის შემოსავლის სრული ბატონ-პატრონი და ბრძანებელი შენა ხარ! მეტი რაღა გინდა?

მაგრამ... მაგარი ის არის, რომ კაცის თვალი ხარბიაო, ნათქვამია, და ჩვენის ქალაქის საბჭოს თვალი ხომ ნამეტნავად: რამდენი წევრიც სხვადასხვა დაწესებულებებს ეყოლება, იმდენი წევრი საბჭოსაც უნდა ჰყავდესო, გაიძახოდნენ ჩვენი ქალაქის მადა-აშლილი „მამები“ და კიდევაც ასეთი დადგენილება მიიღეს.

მერე რადაო? იმად, რომ საბჭომ ჩვეულებრივი „ნათლიმამობა“ გაუწიოს ხოლმე „ახლო პირებს“, რომელნიც, უეჭველია, „ხარჯთ-აღრიცხვას გაამართლებენ“...

ჩვენ ძალიან ვეჭვობთ, რომ ასეთის ახირებულ სურვილით, ცალმხრივის და შეუფერებელ ნდომით ძმათა ზუბალაშვილებს შეაცვლევინონ ყოვლად მართებული და დიაღაც კანონიერი წინადადება.

სცენის მოყვარე.

ტფილისის ქალაქის საბჭოს მოხსენება

ქ. ტფილისის მოურავმა ბ-ნმა ვერმიშევმა კავკასიის ნამესტნიკთან წარსადგენად მოხსენება დასწერა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს სახელმწიფო წესწყობილება რუსეთში.

ამ მოხსენებაში ნათქვამია, რომ წინად შემოსული რეფორმები სამოციან წლებს შემდეგ თანდათან იკვეცებოდა, და, სამაგიეროდ, მეტ ძალას, მეტ უფლებას ანიჭებდნენ ადგილობრივ ადმინისტრაციას. ამნაირ მიმართულებას თუ ის მიზანი ჰქონდა, რომ მშვიდობიანობა და წესიერება აღედგინა კავკასიაში, სადაც ამას ხელს უშლიდნენ თითქო „მავნე ელემენტები“, ახლა უნდა აღიაროს გამოტეხილი ადამიანმა, რომ ამ პოლიტიკამ მიზანს ვერ მიაღწია სრულებით.

კავკასიაში ძარცვა-გლეჯა გახშირდა, გახშირდა მკვლელობაც, მუშათა მოძრაობა დაიწყო, მას გლეხთა მოძრაობა მოჰყვა, სისხლის ღვრაც ბაქოში,—ყოველმავე ამან აშკარად დაამტკიცა, რომ ეს ,,ძლიერი‘‘ ადმინისტრაცია უძლური გამოდგა მშვიდობიანობის, კანონიერების დამყარების საქმეში. ამიტომ საჭირო არის უთუოდ გაარკვიოს ადამიანმა საერთო მღელვარების მიზეზი და გაითვალისწინოს, თუ რა რეფორმებია ადგილობრივ წესიერების აღსადგენად საჭირო.

მთელი საერობო საქმეები კავკასიაში სახელმწიფო მოხელეთა ხელშია გადასული; ამ მოხელეებმა არ იციან ადგილობრივი ენები, ხალხის ზნე-ჩვეულება იმათთვის უცხოა. ადგილობრივ ადმინისტრაციაში განსაკუთრებით სამხედრო სამსახურის პირებს იღებენ. ამ ადმინისტრაციამ ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილება ვერ შესძლო. საერობო ფული ადმინისტრაციის შეხედულებით იხარჯებოდა, ხალხის დაუკითხავად. ამას უნდა დავუმატოთ ის გარემოება, რომ ადგილობრივი მოხელეები ხშირად ავად ხმარობდნენ თავიანთ უფლებებს, რაიც დამტკიცდა აშკარად სასამართლოში. ყოველივე ეს აშკარად ხდის იმას, თუ რა მდგომარეობაში არის ჩავარდნილი ადგილობრივი ხალხი კავკასიაში. ადგილობრივ საჭიროებას არ აკმაყოფილებდა არავინ. ხალხის ჩივილს ყურადღებას არ აქცევს არავინ. და ყოველისავე პროტესტის გამოცხადებაზე ადმინისტრაცია მხოლოდ მეტის სიმკაცრით ეკიდება ხალხს, ამ პროტესტს აჯანყებას ეძახის.

ადმინისტრაციის აუარებელმა შეცდომებმა იქამდის მიიყვანა ადგილობრივი მცხოვრებლები, რომ მათ არამც თუ ყოველგვარი კავშირი გასწყვიტეს იმასთან, არამედ მთავრობისაგან დანიშნული პირები სრულიად გადააყენეს სამსახურიდან და დააწესეს არა-ლეგალური მმართველობა, დამყარებული წარმომადგენლობით პრინციპზე. ყველა ეს ჩვენ გვასწავლის იმას, რომ ჩვენ უნდა მივყვეთ იმ გზას, რომელიც ამოირჩიეს თავის საჭიროების დასაკმაყოფილებლად ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ადგილობრივ ადმინისტრატიულ მმართველობის მაგიერ, რომელიც ვერ ურიგდება მცხოვრებლებს,—უნდა მოწვეულ იქმნას ამათი ყველა ძალები, წოდებისა და ქონების განურჩევლად, თვითმართველობის ისეთს ფორმაში, რომელშიაც შესაძლებელი გახდება ლეგალური მოქმედება და შემოქმედებითი მუშაობა სამშობლოს საკეთილდღეოდ. ამისთანა ფორმად ავტორს მიაჩნია საერობო, უწოდებრივო ორგანიზაციები.

საერობო და სამოქალაქო თვითმართველობასთან ერთად, კავკასია საჭიროებს ცენტრალურ ორგანოს იმისთანა კითხვების გადასაწყვეტად, რომელიც ეხება მხოლოდ კავკასიას, და არა მთელ რუსეთის სახელმწიფოს. ეს განსაკუთრებული კითხვები დაჰბადა იმ ტოპოგრაფიულმა, ეკონომიურმა, კლიმატიურმა და ეთნოგრაფიულმა პირობებმა, რომლებითაც განსხვავდება კავკასია რუსეთის დანარჩენ ნაწილებისაგან. ამისთანა პირობათა შორის წარმოშობილ განსაკუთრებულ კითხვების ერთის კანონით გადაწყვეტა ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რომ ერთს საერთო კანონთან ერთად არსებობდეს ისეთი ადგილობრივი კანონები, რომლებიც არ დაარღვევს სახელმწიფო ცხოვრების მთლიანობას, მაგრამ ამასთანავე დააკმაყოფილებენ ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროებებს. შემუშავება ამ იურიდიულ წარმოებისა უნდა მიენდოს, რასაკვირველია, ადგილობრივ სახალხო წარმომადგენლობას, რომელიც, აღჭურვილი ცოდნითა და ავტორიტეტით, სავსებით შეასრულებს თავის დანიშნულებას. ამ მოსაზრებას უნდა დავუმატოთ კიდევ ერთი, მეტად დიდმნიშვნელოვანი მოსაზრება: განვითარება ეროვნულ ენისა და მწერლობისა მეტად დიდ ყურადღებას თხოულობს, თუმცა მისწრაფება ეროვნულ მოთხოვნილებათა განვითარებისადმი ცოტა-ოდენად აცალკევებს სხვადასხვა ეროვნებას, მაგრამ ერთი განცალკევება, როგორც შედეგი ერთა ინდივიდუალიზაციისა, აღვიძებს ხალხის მიძინებულ ძალებს და ხელსა ჰკრავს ინტენსიურ ცხოვრებისაკენ. ამასთანავე შენახვა ეროვნულ თავისუფლებისა სრულიადაც არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ერთიანობას, რომელიც დამყარებულია საერთო პოლიტიკურს ინტერესებზე.

კითხვის პრინციპიალურად გადაწყვეტის შემდეგ, ავტორი ეხება მის პრაქტიკულ მხარეს და აღნიშნავს, რომ იქ, სადაც სხვადასხვა ეროვნებანი ძალიან არეულია, საერთო საქმეთა გადაწყვეტაში ყველა მათგანს უნდა ერთნაირი უფლება მიეცეს.

ეროვნულ თავისუფალ განვითარებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული თავისუფლება სარწმუნოებისა.

ძალიან აფერხებს კავკასიის განვითარებას აგრეთვე ცუდად დაყენებული მართლ-მსაჯულება. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაცია გაძლიერებულია, რომ მცხოვრებლები საერობო დარაჯის შესანახად იხდიან 3 მილიონ მანათს, პირადი და ქონების ხელშეუხებლობა მაინც საშინელ განსაცდელშია ჩავარდნილი. ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ სასამართლომ კავკასიაში დაჰკარგა თავისი ძალა და ავტორიტეტი და ხალხი თვითონ შეუდგა გასამართლებას. მხოლოდ მჭიდრო კავშირს სასამართლოსა და მცხოვრებლებს შუა შეუძლიან დაუბრუნოს პირველს თავისი მნიშვნელობა. ამისათვის კი არსებობს მხოლოდ ერთი გზა—გაფართოვება ადგილობრივ სასოფლო სასამართლოების კომპეტენციისა და შემოღება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისა.

ამასთან ერთად უნდა გამარტივდეს და გაიაფდეს თვით პროცედურა გასამართლებისა.

ავტორი ეხება აგრეთვე მუშათა და გლეხთა საკითხებს. მუშათა კითხვაში, ერთის მხრივ, ნათლად სჩანს გამწვავებული ეკონომიური ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შუა, მეორე მხრივ—უქონლობა ისეთის ორგანიზაციებისა, რომლების წყალობითაც შესაძლებელი იქნებოდა ბრძოლის კანონიერს ნიადაგზე დამყარება და მისი კანონიერი დაბოლოვება. სწორედ აქედან მომდინარეობს ის აუარებელი და მხეცური ფორმები, რომლებშიაც იხატება ხშირად ეს ბრძოლა. ამ ანორმალურ მოვლენებს ბოლო მოეღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მშრომელ კლასს შეკავშირების და სინდიკატების ნება მიეცემა, როდესაც დაკანონდება გაფიცვა, როგორც კაპიტალთან ბრძოლის საშუალება. რაც შეეხება გლეხთა კითხვას, აქ საჭიროა უმაღლეს ძალის დახმარება.

გლეხთა მოძრაობის მიზეზს ავტორი ხედავს მიწის სიცოტავესა და იმ მძიმე პირობებში, რომელიც თან ახლავს კერძო მამულების ხმარებას. უკმაყოფილების მიზეზად ჰხდება აგრეთვე აუარებელი ხარკები, საერობო გადასახადები, რომლებიც იხარჯება სრულიად უნაყოფოდ საერობო დარაჯთა შესანახად, და სრული გაბატონება სოფლის ცხოვრებაში ადმინისტრაციისა.

აღნიშნავს რა თვითმართველობის ძირითად პრინციპებს, ავტორი დასძენს, რომ ყველა ამის განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დამყარდება პირადი და ქონებრივი სრული ხელშეუხებლობა, თავისუფლება შეკრებისა, თავისუფლება სიტყვისა და ბეჭდვისა. აქ აღნიშნულ რეფორმებს წინ უნდა უძღოდეს გაუქმება გაძლიერებულ დაცვისა და სრული ამნისტია პოლიტიკურ დამნაშავეთა. თუ ამ მოსამზადებელ მუშაობისთვის მოწვეული იქნებიან ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენელნი, ვიმედოვნებთ, რომ კავკასიის მცხოვრებნი მალე გამოარკვევენ იმ პრაქტიკულ დეტალებს, რომლებიც წამოაყენა ცხოვრებამ და რომლების გადაწყვეტაც დააყენებს მას მშვიდობიან და კულტურულ განვითარების გზაზე. ამრიგად, აუცილებლად საჭიროა, რომ მთელი სისტემა სახელმწიფო მმართველობისა ძირშივე შეიცვალოს დამფუძნებელ კრებაში მოწვეულ სახალხო წარმომადგენლებისგან, რისთვისაც საჭიროა:

1) სრულიად-რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევა, წარმომადგენელთა არჩევა ამ კრებისთვის პირდაპირ და საიდუმლო კენჭის ყრით, წოდებისა, ქონებისა და სქესის განურჩევლად.

2) გაძლიერებულ დაცვისა და სამხარ წესების მოსპობა და საერობო დარაჯების (სტრაჟნიკების) მოსპობა.

3) ადგილობრივი ყოველ ეროვნების მკვიდრი ხალხი უნდა იღებდეს მონაწილეობას წარმომადგენლობაში თავის რაოდენობის დაგვარად. საამისოდ ცალკე საარჩევნო ოლქები უნდა იყოს მოწყობილი.

4) საზოგადო უფლებრივ პირობათა შემოღება: პრესსის, სიტყვის, კრებების, ყრილობების, გაფიცვის თავისუფლება, მთავრობის ნებადაურთველად ყოველგვარ საქველმოქმედო და განმანათლებელ დაწესებულებათა გახსნა, სასწავლებლებში სწავლება დედა-ენაზე, პიროვნების, სადგომის ხელუხლებლობა, მოხელეთა პასუხისმგებლობა სასამართლოს წინაშე, საპოლიტიკო დამნაშავეთა სრული ამნისტია.

5) ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანიზაცია ისე, რომ იგი თავისუფალი იყოს ადმინისტრაციის გავლენისაგან, საერთო უწოდებო ვოლოსტის შემოღება, საპროვინციო და საქალაქო თვითმმართველობა და კავკასიის წარმომადგენელთა ადგილობრივი კრება, პირდაპირ, საყოველთაო, თანასწორ და საიდუმლო კენჭის ყრაზე დამყარებული; ამათ უნდა გადაეცეთ ადგილობრივ სამეურნეო საქმეების მართვა-გამგეობა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დაცვა.

6) არჩეულ მომრიგებელი მსაჯულები და ნაფიცი მსაჯულები, სასამართლოში ადგილობრივ ენების შემოღება.

7) პირველ-დაწყებითი სწავლის გადაცემა საზოგადო დაწესებულებათა ხელში. სახალხო სასწავლებლებში ადგილობრივ ენებზე სწავლება.

8) საშუალო სასწავლებლების განთავისუფლება ზედ-მეტ შევიწროვებისაგან და მათ მართვა-წარმოებაში ხალხისაგანაც მონაწილეობის მიღება.

9) გლეხთა საადგილ-მამულო მდგომარეობის მოწყობა ამნაირად: ა) დროებით ვალდებულობის მოსპობა: ბ) თავისუფალ სახაზინო ადგილების მოხმარება ამ საქმისათვის და გ) კერძო მემამულეთა ადგილების შესყიდვა ხაზინის დახმარებით და ექსპროპრიაციის წესით.

10) სრულ სარწმუნოებრივ თავისუფლების შემოღება; ყოველ ეროვნებას უნდა ჰქონდეს მინიჭებული უფლება თავისი სარწმუნოებრივი საქმეები თვითონვე განაგოს თავის ნებაზე თვითმართველობის წესით; ყველა სარწმუნოების სასულიერო უწყებებს უნდა დაუბრუნდეთ მათი კუთვნილი ქონება.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

23 მაისი.

პარიზი, 23 მაისი. გარეშე საქმეთა მინისტრი, როგორც ეტყობა, სამსახურს თავს ანებებს.

ლოძი, 23 მაისი. 13 ფაბრიკაში, მათ შორის

გერმან ელბერმტეინისა, სადაც 4000 მეტი მუშაა, მუშაობა დაიწყო. ქალაქში მშვიდობიანობაა. გუბერნატორი გუშინ წავიდა.

ნიკოლაევი, 23 მაისი. სამი დღის საერთო გაფიცვის შემდეგ, სავაჭრო ნავთსადგურში მუშაობა დაიწყო. ბირჟის კომიტეტის შუამდგომლობით, ექსპორტერები და მუშები, როგორც იყო, შეთანხმდნენ.

პეტერბურგი, 23 მაისი. გაზეთების სიტყვით, ბულიგინის პროექტით, სახელმწიფო საბჭოში წევრები ამორჩეულ იქმნებიან 1864 წლის ერობის დებულების თანახმად. უფლება ექმნებათ: განიხილონ ახალი კანონები; სახელმწიფო სარჯთ-აღრიცხვა, კონტროლი, უფლება კანონმდებლობითი ინიციატივისა და მინისტრების შეკითხვა, რომლებიც პასუხის მგებელნი არიან მხოლოდ ხელმწიფის წინაშე... წევრთა რიცხვი 400—600 იქმნება და სამის წლის ვადით ამორჩეულნი. თავმჯდომარეს დანიშნავს ხელმწიფე საბჭოს წევრთაგან. კანონ-პროექტები ხელმეორედ განხილულ იქმნებიან სახელმწიფო რჩევის და საბჭოსაგან. საბჭო მოწვეულ იქმნება ნოემბერ-იანვარში. კრებებზე გარეშეთაც შეეძლებათ დასწრება. წევრთა პიროვნება ხელ შეუხებელი იქმნება. წევრებს დღიურად 15 მ. მიეცემათ. ხელმწიფეს უფლება ექმნება დახუროს საბჭო და ახალი არჩევნები დანიშნოს.

ვარშავა, 23 მაისი. „ვარშავსკი დნევნიკ“-მა მოათავსა უსამღვდელოეს იერონიმეს მოწოდება ხოლმშინის სამწყსოსადმი. მოწოდება იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ კათოლიკობას ამ ბოლო დროს ბევრი ხალხი იღებს.

ნოვგოროდი, 23 მაისი. ეპისკოპოსმა ფეოდოსიმ სოფიის ტაძარში პანაშვიდი გადაიხადა დაღუპულ მეზღვაურთა მოსახსენებლად.

პეტერბურგი, 23 მაისი. მიმოსვლის კომისიამ ფიტინგოფ შელის წინადადება განიხილა. შელი შუამდგომლობს სლავიანსკ-პეტერბურგის ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის გაყვანას ქვა-ნახშირის საზიდად. ვარშავის ზოგიერთ მაზრაში მეომარ-მხედართა ჯარში გაწვევა გამოაცხადეს.

პეტერბურგი, 23 მაისი. ოფიციალური. ბეჭდვითი სიტყვის თაობაზე უკანასკნელი სხდომები უცხოეთის ცენზურას განიხილავს. 12, 17 და 19 მაისის სხდომებზე ეპისკოპოს ანტონის განცხადება განიხილეს სასულიერო ცენზურის ახალს კანონებზე და სამღვთო წერილისა და ღვთის მსახურების წიგნების ცენზურა ისევ უწმიდეს სინოდს მიანდეს. ის პროექტი, რომ სასულიერო მწერლობას ცენზურა აეხადოს და ავტორების პასუხის გება მხოლოდ სისხლის სამართალმა განიხილოსო, ხმის უმეტესობით მიიღეს, ხოლო ცენზურა წინდაწინ განიხილავს სურათებს, მხატვრობას და სურათებიან ღია წერილებს.

სენატორ კონის ქვედა-კომისიამ უკვე დაამთავრა მწერლობის შესახებ დებულებათა განხილვა და დებულებათა ახლად დამუშავებულ წესებს, ევროპის საცენზურო კანონმდებლობასა და 1871 წ. ურუსოვის კომისიის პროექტს შეუთანხმა. ამ კომისიის ნამუშავარს შემოდგომაზე ის საბჭო განიხილავს, რომელსაც უცხო-ენათა ცენზურისა და საცენზურო დაწესებულებათა განხილვა აქვს მინდობილი.

პარიზი, 23 მაისი (გავასი). გაზეთი „ეკლერი“ იუწყება, რომ ისპანიის მეფეს ლუბე სამაგიერო დარბაზობას ოქტომბერში გადაუხდისო. მეფემ პარიზი ღამე დასტოვა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

23 მაისი.

პეტერბურგი. უმთავრეს საზღვაო შტაბის ოფიციალური ცნობა. ვლადივოსტოკის ნავთსადგურის უფროსის გამოგზავნილ ცნობების თანახმად, უმთავრესი საზღვაო შტაბი აცხადებს, რომ ნაღმოსან „გროზნი“-ზე ბრძოლაში მოკლულია მიჩმანი დოფელტი და დაჭრილია ხსენებულ ნაღმოსნის უფროსი, მეორე რანგის კაპიტანი ანდრეევსკი.

მანილლა, 22 მაისი. დახოცილებითა და დაჭრილებით რუსის კრეისერებს შემდეგი ზარალი მოუვიდათ: კრეისერ „ავრორა“-ზე მოკლულია 21, დაჭრილია 86; „ოლეგ“-ზე მოკლულია 13, დაჭრილია 18; „ჟემჩუგ“-ზე მოკლულია 14, დაჭრილია 31. ამერიკის გემები სასტიკად თვალს ადევნებენ რუსის გემებს მანილლაში, ელიან კიდევ ორს გემს. კაპიტანი ეგორიევი მოკლულ იქმნა კრეისერ „ავრორა“-ზე და დამარხულ იქმნა ზღვაში. აფიცრები ამტკიცებენ, განადგურების მიზეზი იაპონელების წყალ-ქვეშ მავალი ნავები არიანო. ადმირალი ენკვისტი ერთს კორესპონდენტს ესაუბრა და, სხვათა შორის, უთხრა: რუსები ბრძოლას ვლადივოსტოკის სიახლოვეს მოელოდნენო. მეზღვაურნი მამაცად იბრძოდნენო. ბრძოლის შემდეგ, მე არ ვიცოდი, თუ ბრძოლამ კვირასაც გასტანაო.

ნაგასაკი, 23 მაისი. ბაირაღ დაშვებული გემი მოვიდა სასებოს ნავთსადგურში და მოიტანა მოკლულ უფროსის გვამი და კრეისერ „დიმიტრი დონსკოი“-ს ერთ-ერთ აფიცრისა. ისინი დაასაფლავეს რუსის სასაფლაოზე. იმავე გემით მოსული მღვდელი, ორი ექიმი და ხუთი მატროსი, რომლებსაც ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ, საფრანგეთის კონსულს ჩააბარეს.

ნიუ-იორკი, 23 მაისი. მანილლაში მოსული რუსის გემები დაუნახავს ადმირალ ტრენს, რომელიც ამერიკის ესკადრით ნავთ-სადგურიდან 40 მილის მანძილზე დაცურავდა. ადმირალმა შეამჩნია, რომ რუსის გემები ძალზე დაზიანებულნი იყვნენ და შესთავაზა: დაგეხმარებით და მანილლაში მიგიყვანთო. რუსებმა ეს წინადადება მიიღეს. თუ რუსის გემებმა აქედან წასვლა ვერ მოახერხეს, რასაც შეუძლებლად სთვლიან, იარაღს აჰყრიან. ენკვისტმა სამი კრეისერით, სანამ მანილლაში მიდიოდა, შეიარა ფილიპინის კუნძულების ერთ პატარა ნავთსადგურში დეპეშების გასაგზავნად, იქნებ ნახშირის დასატვირთავადაც.

24 მაისი.

ნიუ-იორკი, 23 მაისი. მანილიდან დეპეშით იუწყებიან, ადმირალ ენკვისტს შეერთებულ შტატების ნეიტრალიტეტის დაარღვევა სრულიადაც არ სურდა და თავის გემები ფილიპინის კუნძულისკენ იმიტომ წაიყვანა, რომ, ეგონა, იაპონელები უკან მომდევენო. ენკვისტმა ადმირალ ტრენს უთხრა, უნდა მოვუცადო ხელმწიფე იმპერატორის ინსტრუქციას და შემდეგში იმის დაგვარად მოვიქცევიო. ჰფიქრობენ, რომ რუსის გემებს ომის გათავებამდის აქ გააჩერებენ.

მეორე დეპეშაში მანილიდან იუწყებიან, იაპონელები რუსის გემებს ფილიპინის კუნძულებთან უცდიან და იმ შემთხვევაში, თუ ისინი ზღვაში გავლენ, გაანადგურებენო.

ტოკიო, 23 მაისი. როდესაც ჯავშნოსანი „ორიოლი“ მაიძურუში მოიყვანეს, მეზღვაურებმა მოინდომეს, გემი აეფეთქებინათ, მაგრამ იაპონელებმა დროზე გაუგეს. ჯავშნოსან „ორიოლი“-ს აფიცრები უარს ამბობენ ტყვეობიდან განთავისუფლებაზე.

შანჰაი, 23 მაისი. წუხელის აქ მოვიდა 6 ტრანსპორტი, სხვათა შორის, „იაროსლავლი“ და „ეკატერინე“.

მანილლა, 23 მაისი. ენკვისტი ითხოვს ორი კვირის ვადას გემების შესაკეთებლად, აგრეთვე ნახშირს და სანოვაგეს საიგონში ჩასასვლელად. ტრენი თანახმაა ნახშირის მიცემაზე, მხოლოდ ორი კვირის ვადაზე არ სთანხმდება. იაპონიის ელჩმა ორჯელ განუცხადა ტრენს ენერგიული პროტესტი. „დეილი მეილი“ აცხადებს, რომ კონტრ-ნაღმიან გემზე „ბოდრი“-ზე ოცი კაცია დაჭრილიო.

ტოკიო, 23 მაისი. გემ „ორიოლიდან“ რუს აფიცრების უმეტესი ნაწილი უარს აცხადებს განთავისუფლებაზე, თუ მოგვაცემინეს პატიოსანი სიტყვა, რომ არ ვიომოთ იაპონიის წინააღმდეგო. მხოლოდ ზოგიერთი, რომელმაც ეს პირობა დასდო, გაიგზავნა შანჰაიში. „ორიოლი“ მაიძურუს რომ ჩავიდა, მეზღვაურებს მისი აფეთქება უნდოდათ, მაგრამ იაპონელებმა ხელი შეუშალეს.

სასებო, 21 მაისი. ჯავშნიან გემის „ორიოლის“ აფიცრები ამბობენ, რომ მოკლულთა დამარხვის დროს იაპონიის გემებზე ბაირაღები ჩამოშვებული იყო გლოვის ნიშნად. გემის უფროსი მოჰკლეს 14 მაისს, როდესაც ბრძანებას სცემდა. ადმირალი ნებოგატოვი ინსტრუქციებს ელის განთავისუფლების შესახებ. კორესპონდენტს უთხრა, რუსეთში დაბრუნება არ მინდაო, სანამ თვით როჟესტვენსკი იაპონიაში რჩება. 4200 დატყვევებული აფიცერი და მეზღვაური გაიგზავნება დერიში, მოჯისთან.

სასებო, 22 მაისი. როჟესტვენსკი ექვს ადგილას არის დაჭრილი. ამ მოკლე ხანში ფეხი უნდა მოსჭრან.

ტოკიო, 21 მაისი. ელიან პარლამენტის განსაკუთრებულ სესსიის მოწვევას, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს 20 მილიონ გირვანქა სტერლინგის დამატებითი კრედიტი, რომელიც საჭირო შეიქმნა ომიანობისთვის.

პარიზი, 23 მაისი. ადმირალმა ტოგომ ინახულა როჟესტვენსკი და გამოსთქვა თავისი ქება რუსების მამაცობის შესახებ. იმედი მაქვს, თქვენც მალე დაბრუნდებით რუსეთშიო. როჟესტვენსკიმ მადლობა გამოუცხადა ტოგოს და მაულოცა იაპონელებს მათი მეზღვაურების სიმამაცე და სამშობლოს სიყვარული. დაუჯერებელია, რომ ნებოგატოვი დასთანხმდეს მის განთავისუფლებაზე. იაპონიის საზღვაო მინისტრმა იამამოტომ გამოგზავნა ყვავილები როჟესტვენსკის ოთახის დასამშვენებლად.

ნაგასაკი, 20 მაისი. აქ მოყვანილ ტყვეებში 9 მძიმედ არის დაჭრილი.

ვაშინგტონი, 23 მაისი. შემცდარია ის ცნობა, ვითომც რუზველტს გამოუცხადებიოს შუამდგომლობის სურვილი ზავის ჩამოსაგდებად. პრეზიდენტს არ შეუცვლია თავისი შეხედულობა. საქმეში გაერევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას ორივე მხარე ისურვებს. საზღვაო საქმეთა მდივანმა აცნობა კორესპონდენტს, რომ ტრენს გაგზავნილი აქვს ინსტრუქციები, შეაჩეროს დაუყოვნებლივ „ავრორა“, „ოლეგი“ და „ჟემჩუგი“.

ჰონკონგი. აქ მოსული ერთი ჩინეთის გემი გადმოგვცემს, გუშინ, შუადღის შემდეგ, ენახეთ პედრო ბლანკოსთან რუსის ერთი კრეისერი, რომელმაც ოთხი სავაჭრო გემი გააჩერაო.

ნაგასაკი, 13 მაისი. გემ „სვეტლანას“ აფიცერი ამბობს: 15 მაისს დილას კრეისერი ებრძოდა იაპონიის კრეისერებს „იტაკასა“ და „ოტავას“ და ბოლოს ჩაიძირა. მასთან ერთად ჩაიძირა 200 მეზღვაური, კაპიტანი და უფროსი ლეიტენანტიც. გადარჩა თერთმეტი მეზღვაური.

ჰონკონგი, 23 მაისი. ინგლისის გემმა „პირესმა“ ნახა ორი გემი რუსების თავისუფალ ფლოტისა, რომელთაც გააჩერეს ჰონკონგის აღმოსავლეთ ჩრდილოეთისკენ 4 სავაჭრო გემი.

ნაგასაკი, 23 მაისი. ნარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ყველა მეზღვაური, იაპონელთაგან ტყვედ წაყვანილნი, რუსეთში გაიგზავნება.

ვაშინგტონი, 23 მაისი. გავტმა აცნობა ფილიპინებიდან რაიტს, გემების შესაკეთებლად საჭირო ვადას არ იძლევიანო. გემების შესაკეთებლად ვადის მიცემა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გემები ომის დასრულებამდის იქ გაჩერდებიანო.

ვაშინგტონი, 23 მაისი (რეიტერი). წუხელის გერმანიის ელჩი რუზველტს ორი საათი ესაუბრა; ამბობენ, ზავის შესახებაო. ინგლისის საქმეთა რწმუნებულსა და რუზველტს თათბირი ჰქონდათ რუსეთ-იაპონიის მდგომარეობის შესახებ. „სტანდარტი“ იუწყება: კასინიმ განაცხადა, მე და რუზველტი თეთრ სასახლეში საზოგადო საქმეების შესახებ ვსაუბრობდით. გადაწყვეტილ აზრს ვერ დავადექითო. იტალიის ელჩი კასინის ესაუბრა, მერე რუზველტი ინახულა. ამის შემდეგ იაპონიის ელჩი ნიუ-იორკში გამოიხმეს. ელჩმა განაცხადა, საჭიროა პეტერბურგის აზრიც მოვისმინოთო. პეტერბურგში მყოფი ამერიკის ელჩი დეპეშით იუწყება: რუსები ზავის შესახებ ჯერ ვერას მოიქმედებენ, ვიდრე ცუსიმასთან დამარცხებისა გამო ხალხის მღელვარება არ დაწყნარდებაო.

სასებო, 20 მაისი. ნაღმიან გემების უფროსი ნამდვილ ცნობებს იტყობინება კრეისერ „დიმიტრი დონსკოის“ დაღუპვის შესახებ: იაპონელებმა საშინელი სროლა ასტეხეს და კრეისერს ნაღმები დაუშინეს. გემს მალე ორივე მხრით ცეცხლი გაუჩნდა და წყალმა დენა დაუწყო. იაპონელებმა სიგნალებით წინადადება მისცეს დამორჩილებულიყვნენ, მაგრამ როდესაც პასუხი არ მიიღეს, კორეველებს გამოჰკითხეს და გაიგეს, რომ დილით, ადრიან, რუსის გემის ოფიცრები და სიკვდილს გადარჩენილი ეკიპაჟი თეთრის ბაირაღით ნაპირზე გადასულიყვნენ. იმ წუთს, როდესაც იაპონელებს უნდა შეეპყრათ გემი, იგი მარჯვნივ გადიხარა და, სამი წუთის შემდეგ, ჩაიძირა. იაპონიის კომანდირს უნდოდა ენახა კრეისერის კაპიტანი, მაგრამ უპასუხეს, იგი მძიმედ არის დაჭრილიო. მისმა თანაშემწემ შეატყობინა, რომ გემს მოჰხვდა ექვსი ნაღმი. ერთი ამათგანი თოფის წამლის საწყობს დაეცა და ააფეთქა. მან დაარწმუნა იაპონიის კომანდირი, რომ „დიმიტრი დონსკოი“ რუსებისგან არ არის დაღუპული. ბრძოლის დროს რამდენისამე ხნის განმავლობაში, ადმირალ ნებოგატოვის გემი „იმპერატორ ნიკოლოზ I“ იაპონიის მთელ ფლოტს ნიშანში ჰქონდა ამოღებული. რამდენსამე ხანს რუსის გემი სროლას სროლითვე უპასუხებდა, თუმცა უნაყოფოდ. მარცხნივ საჭესთან მოსჩანს აუარებელი მონახვედრი 400 მილიმეტრიან ყუმბარებისა; ჩქარა-მსროლელი ზარბაზნები გემის ერთს მხარეს ნაკუწ-ნაკუწებად არის ნაქცევი; წინა საკვამლე ტყვიით დაცხავებულია. ვატერლინია გახეთქილია 20 დუიმის სიგანეზე, ის ნაწილი გემისა, სადაც ლუზაა მოთავსებული, სრულიად მოგლეჯილია. იაპონიის კონტრ-ნაღმოსან გემის „საზანამის“ ოფიცრები როჟესტვენსკის ტყვედ წაყვანის შესახებ დაწვრილებით ცნობებს გვატყობინებენ: 15 მაისს კონტრ-ნაღმიანმა და რამდენმამე სხვა გემმა ბრძანება მიიღეს მოეძებნათ რუსის ესკადრის გადარჩენილი გემები; მათ დაინახეს ჰორიზონტზე კვამლის ორი რიგი; იაპონელები მიჰყვნენ კვამლს 20 მილის სიჩქარით და მალე აღმოაჩინეს ორი კონტრ-ნაღმოსანი გემი, რომლებიც მთელის თავის სისწრაფით მიდიოდნენ. როდესაც იაპონელები მიუახლოვდნენ, საშინელი სროლა ასტეხეს. ერთს კონტრ-ნაღმიან გემს ვერ დაეწივნენ და მოასწრო დამალვა, მეორემ კი გზას არ აუხვია და სროლასაც არ უპასუხებდა. რამდენისამე ხნის შემდეგ მასზე გამოჩნდა თეთრი ბაირაღი—ნიშანი დამორჩილებისა და წითელი ჯვარი. იაპონელების სიგნალზე: „რანაირია თქვენი პირობები“, რუსებმა უპასუხეს; „გემი დაზიანებულია, ჩვენთან ადმირ. როჟესტვენსკია“. შტაბს სასმელი წყალი არა აქვს. სანამ იაპონელები დაჭრილთა მისაღებად ემზადებოდნენ, რუსის ოფიცრები მაღლა აწეულ ხელებით როჟესტვენსკის შემოერტყნენ და იაპონიის აფიცრებს სთხოვდნენ დაჭრილი როჟესტვენსკი, რომლის ჭრილობებიც მეტად საშიშო იყო და იაპონიის გემზე გადაყვანის დროს შეიძლება იარები აშლოდა, დაერჩინათ იქ, სადაც ის იმყოფებოდა. მაშინ იაპონელებმა რუსის გემი წაიყვანეს და გაემართნენ კორეის ნაპირის მახლობელ კუნძულისაკენ. იაპონელები ამბობდნენ: გადაწყვეტილი გვქონდა სულ მთლად დავღუპულიყავით, თუ ვინიცობაა რუსის ფლოტის დანარჩენ გემებს შევხვდებოდით და დავმარცხდებოდითო. შემდეგ დაინახეს იაპონიის ჯავშნიანი გემი „ასახი“ და შეატყობინეს, რომ როჟესტვენსკი ტყვედ არის წამოყვანილიო. როდესაც რუსის ოფიცრებმა და სასებოში ტყვედ მყოფმა მეზღვაურებმა გაიგეს, რომ მათი ადმირალი ტყვედ ჩაუვარდათ, თავზარი დაეცათ.

სასებო, 23 მაისი („დეილი ტელეგრაფი“). კრეისერი „დიმიტრი დონსკოი“ გვერდზე გადაიხარა. იაპონელებს უნდოდათ დაეჭირათ იგი, მაგრამ გემი ჩაიძირა. გემის უფროსი მძიმედ იყო დაჭრილი. უფროსი ლეიტენანტი ამბობს, გემს ექვსი ნაღმი მოხვდაო. როდესაც თოფის წამლის საწყობმა იფეთქა, რუსები ნაპირზე გადმოვიდნენ. მეზღვაურთა ორი მესამედი დაიღუპა.

შანჰაი, 23 მაისი („მორნინგ პოსტი“). გუშინ მოვიდა ექვსი სატრანსპორტო გემი, მათ შორის არიან ,,იაროსლავლი'' და ,,ეკატერინა'',

მანილლა, 23 მაისი. ენკვისტი თხოულობს, ორი კვირის ვადა მომეცით, რომ გემები შევაკეთო და საიგონამდე სამყოფი ნახშირი და სურსათი მოვიმზადოო. ტრენი მზადაა მისცეს ნახშირი, მაგრამ ორი კვირის ვადაზე არა სთანხმდება. იაპონიის კონსულმა ტრენს ორჯელ გამოუცხადა პროტესტი. ,,დეილი-მეილი'' იუწყება, ნაღმოსან ,,ბოდრი''-ზე დაჭრილი ოცი კაციაო.

ნაგასაკი, 23 მაისი (,,დეილი-მეილი''). ,,სვეტლანას'' აფიცრები ამბობენ, დილით, 15 მაისს, კრეისერი ებრძოდა იაპონიის კრეისერებს ,,იატაკას'' და „ოტავას“ და ასი მატროსით, გემის უფროსით და უფროსი ლეიტენანტით ერთად ჩაიძირაო. გადარჩა 11 მატროსიო.

(ღამის დეპეშა იხილე მე-4-ე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

უცხოეთისა და რუსეთის პრესსის აზრი ცუსიმის ბრძოლის შესახებ. „ბერ. ლოკ. ანც.“-ი სწერს: ომის უმნიშვნელოვანესი ხანა გათავდა და ისევ რუსეთი დამარცხდა. როჟესტვენსკის მიერ შედგენილი ძლიერი ფლოტი მძლავრად დაეჯახა იმ სიმაგრეს, რომელიც ადმირალმა ტოგომ იაპონიასა და კორეას შუა აგო, დაეჯახა და თვითონვე დაიმსხვრა. ადმირალ ნელსონის დროიდან ეს უკანასკნელი ბრძოლა უდიდესი საზღვაო ბრძოლაა. იაპონიას დიდი დახმარება აღმოუჩინა უმავთულო ტელეგრაფმა. ბრძოლის წინა დღეს იაპონიაში იცოდნენ, რომ ადმირალი ტოგო არ ეთანხმება როჟესტვენსკის აზრს, ვითომ კორეის სრუტეში მხოლოდ პატარა შეტაკება მოხდებაო, და ამიტომ მთელ თავის ფლოტს ცუსიმასთან მოუყარა თავი და თავის გენიოსური მოსაზრება მეორე დღესვე შეასრულა. მისი განზრახვა ისე ასრულდა, რომ თვითონაც კი არ მოელოდა როჟესტვენსკის ასეთ განადგურებას. („რ. ვ.“).

„რუს. ვედ.“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: იაპონელებმა როჟესტვენსკის რვა გემი წაართვეს და შინ მიიყვანეს. ამრიგად, რაც იაპონელებმა ზღვაზე დაჰკარგეს დღემდის, ეხლა ერთი-ორად დაიბრუნეს. რამდენისამე თვის შემდეგ, როცა ამ გემებს შეაკეთებს, იაპონიის ფლოტი უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე ომის დასაწყისს იყო. ასეთი სამარცხვინო განადგურება არც ერთ სახელმწიფოს არ უნახავს. ისტორიაში ასეთი მაგალითი არ არის. ფლოტი დაიღუპა, განადგურდა. 5 ათასი მეზღვაური და ადმირალები ტყვედ წაიყვანეს. ად-

ფელეტონი

რესპუბლიკანურ სახელმწიფოების წესწყობილება *).

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები ფედერატიულ (შეერთებულ) რესპუბლიკას წარმოადგენენ. ფედერაციის სახელმწიფო წესწყობილება აღწერილია 1789 წლის კონსტიტუციაში, რომელსაც დამატებული აქვს 15 შესწორებული კანონი, 1791 წლიდან 1870 წლამდის შემუშავებული. საკანონმდებლო უფლება კონგრესს აქვს მინიჭებული, აღმასრულებელი კი — პრეზიდენტს. კონგრესს ძალიან მცირე უფლება აქვს პრეზიდენტის მოქმედების კონტროლისა; მაგალითად მას არ შეუძლიან უნდობლობის გამოცხადებით მინისტრების გადაყენება, რომელნიც მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე აგებენ პასუხს. სამაგიეროდ, პრეზიდენტის საკანონმდებლო უფლებაც მეტად მცირეა; მან მხოლოდ თავის თანხმობა უნდა გამოუცხადოს კონგრესის დადგენილებას. თუ კონგრესმა ესა თუ ის კანონპროექტი ორი მესამედის ხმის უმეტესობით მიიღო, იგი კანონად ხდება და პრეზიდენტს აღარაფერი ეკითხება. კონგრესსაც და პრეზიდენტსაც ხალხი ირჩევს, ორივენი ამერიკელების წარმომადგენელნი არიან და ერთი მეორისაგან არჩევის მხრით დამოუკიდებელნი არიან. კონგრესი ორპალატისაგან შესდგება: სენატი და საერო წარმომადგენელთა პალატა, რომელსაც პირდაპირ ხალხი ირჩევს.

ყოველი ოლქი, რომელშიაც 173,900 სული ცხოვრობს, ერთ წარმომადგენელს ირჩევს პალატაში. არჩევნების სისტემაში ფედერაცია სრულიად არ ერევა და ყოველ შტატს უფლება აქვს ისეთი სისტემა შემოიღოს, როგორიც ნებავს. ამჟამად ყველგან შემოღებულია საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრა; კენჭი ყველა სრულწლოვან მამაკაცს აქვს. ვაიომინგისა, კოლორადოსი, უტსა და ნევადაში მამაკაცების გარდა კენჭი დედაკაცებსაც ეძლევათ. დეპუტატებს ორის წლით ირჩევენ. სენატორებს ირჩევენ ცალკე შტატების საკანონმდებლო კრებები 6 წლით. სენატორებსა და დეპუტატებს ეძლევათ 5,000 დოლარი ჯამაგირი, საგზაო ხარჯი (ინგლისის თითო მილზე 20 ცენტი) და 125 დოლარი გაზეთების გამოსაწერად (თითო დოლარი თითქმის 2 მანეთს უდრის). კონგრესს საკანონმდებლო ძალა აქვს. ამ უფლებით ორივე პალატა თანასწორად სარგებლობს, მხოლოდ საფინანსო კანონპროექტების ინიციატივა წარმომადგენელთა პალატას ეკუთვნის.

პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს 4 წლით ირჩევენ ორკეც კენჭის ყრით. პრეზიდენტს სრული აღმასრულებელი ძალა აქვს; იგი განაგებს მინისტრების დახმარებით, რომელნიც მხოლოდ მის წინაშე არიან პასუხისმგებელნი და მათი გამოცვლის უფლებაც მხოლოდ მას ეკუთვნის. მასვე ეკუთვნის უფლება სახელმწიფო სამსახურში მყოფ ყველა მოხელის გადაყენებისა.

პრეზიდენტი ჯარს უფროსობს და უცხო სახელმწიფოებთან მოლაპარაკების დროს ფედერალურ კავშირის წარმომადგენლად ითვლება. საზოგადოდ შეერთებულ შტატების პრეზიდენტი საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენს. მისი უფლება გაცილებით აღემატება საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებას, ზოგ შემთხვევაში ინგლისის მეფის უფლებასაც კი სჭარბობს და, ცოტად თუ ბევრად, გერმანიის იმპერატორის უფლებასაც ჰგავს. ასეა მშვიდობიანობის დროს, ომის დროს კი პრეზიდენტს იმდენად ემატება ძალა, რომ იგი უფრო დიქტატორსა ჰგავს, ვიდრე პრეზიდენტს. ომის დროს პრეზიდენტს ნება აქვს კონგრესის დაუკითხავად უბრალო ბრძანების კილოთი ისეთი სავალდებულო დადგენილებანი გამოსცეს, რომლებსაც კანონის ძალა აქვთ.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების თითო შტატი ცალკესა და დამოუკიდებელ რესპუბლიკას წარმოადგენს და ნება აქვს თავის საქმეები ისე მოაწყოს, როგორც უჯობს და ნებავს. კონსტიტუციებს ყოველგან განსაკუთრებული კონვენტები ადგენენ, დამტკიცებით კი პლებისციტი ამტკიცებს. ყოველი კონსტიტუცია უზრუნველჰყოფს პიროვნებისა, სიტყვისა და სინიდისის თავისუფლებას.

შეერთებული შტატები თავიდან ბოლომდის თვითმმართველობისა და თავისუფლების პრინციპით არის გაჟღენთილი; ყველგან პოლიტიკურ თანასწორობის პრინციპია გამეფებული; შტატებში 1863 წლიდან ყოველგვარი წოდება მოსპობილია. თვით უცხოელნიც კი შედარებით არ არიან უფლებას მოკლებულნი; ყოველი უცხოელი, რომელმაც კი შტატებში 5 წელიწადი იცხოვრა, თუ სურვილი აქვს—შტატების მოქალაქედ ითვლება და საარჩევნო უფლებაც ეძლევა.

ეკლესია სახელმწიფოსაგან ყველგან განშორებულია.

საფრანგეთი.

საფრანგეთი პარლამენტური რესპუბლიკაა. პარლამენტს კანონდების გარდა მინიჭებული აქვს კონტროლისა და ყველა დიდ მოხელის (პრეზიდენტისაც) სასამართლოში მიცემის უფლება. პარლამენტი ორ პალატისაგან შესდგება: სენატისა და დეპუტატთა პალატისაგან. დეპუტატთა პალატაში დეპუტატებს საყოველთაო პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით ირჩევენ. თითო ოლქი თითო დეპუტატს ირჩევს, მაგრამ თუ ამ ოლქში 100 ათასზე მეტი მხოვრებია, ოლქი ორ ნაწილად იყოფა. არჩევის ნება ეძლევა ყველა მამაკაცს, ვინცკი 21 წლისა შესრულდა და ვინც ერთხელვე აღნიშნულ ადგილში ცხოვრობს. კენჭი არ ეძლევა სამხედრო სამსახურში მყოფთა და იმათ, ვისაც რაიმე დანაშაულის გამო ეს უფლება წართმეული აქვთ. დეპუტატებს 4 წლით ირჩევენ. სენატორებსაც ხალხი ირჩევს 9 წლის ვადით (სენატის განახლებით ყოველ 3 წლის შემდეგ). სენატორთა ასარჩევად დეპარტამენტებსა და კოლონიებში იწვევენ განსაკუთრებულ კოლეგიებს, რომელსაც შეადგენენ ამ დეპარტამენტის ყველა დეპუტატები, მისი საგენერალო და საოლქო საბჭოების წევრები და სამუნიციპალო საბჭოების, მიერ განსაკუთრებით ამისთვის არჩეული დელეგატები.

დეპუტატებსა და სენატორებს ჯამაგირი წელიწადში 9,000 ფრანკი (2,430 მანეთამდის) ეძლევათ. ორივე პალატა თვითონ ირჩევენ თავის პრეზიდენტს.

საკანონმდებლო ინიციატივა ეკუთვნის ორივე პალატას და პრეზიდენტსაც, რომელსაც მის-მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი მინისტრების დახმარებით შეაქვს პალატაში. კანონ-პროექტის შეტანა ორივე პალატაში შეიძლება. რაც შეეხება ბიუჯეტისა და საფინანსო კანონ-პროექტებს, ისინი ჯერ უეჭველად დეპუტატთა პალატაში უნდა შეიტანონ. ამ უფლების მიუხედავად, დეპუტატთა პალატამ შესამჩნევი უპირატესობა ვერ მოიპოვა სენატზე და ორივე პალატა თანასწორია.

მინისტრები პალატების წინაშე აგებენ პასუხს. თუ მინისტრებმა ან პრეზიდენტმა რაიმე დანაშაული ჩაიდინეს, დამნაშავეს ქვედა პალატა აძლევს სასამართლოში სენატში, რომელიც დამნაშავეს ასამართლებს. საკონსტიტუციო კანონებს პალატები კი არ იხილავენ, არამედ ეროვნული კრება, რომელსაც ეკუთვნის დამფუძნებელი უფლება და რომელიც ორსავე პალატისგან შესდგება.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ამერიკის პრეზიდენტზე გაცილებით ნაკლები უფლებანი აქვს. სამაგიეროდ, იგივე პრეზიდენტი ისეთივე წარმომადგენელია მთავრობისა, როგორიც ინგლისის მეფე, მართვა-გამგეობაში კი ზოგიერთ შემთხვევაში ინგლისის მეფეზედაც მეტი უფლებანი აქვს. პრეზიდენტი საკონსტიტუციო მონარქივით არავის წინაშე არ არის პასუხის-მგებელი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მისი მოქმედება შეიძლება სახელმწიფო ღალატად ჩაითვალოს) და თავს მინისტრთა პასუხის-მგებლობით იფარავს. უცხოეთის საქმეებში იგი საფრანგეთის რესპუბლიკის წარმომადგენელია. შინაურ საქმეების მართვა-გამგეობაში მას კანონდების ინიციატივის უფლება აქვს. გადასაწყვეტი ხმა არა აქვს, მაგრამ შეუძლიან ერთხელვე მიღებული კანონპროექტი პარლამენტს დაუბრუნოს და ხელმეორედ განახილებინოს. პრეზიდენტი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს ნიშნავს, ხურავს პარლამენტის სესსიას. ნება აქვს ვადამდე დაითხოვოს დეპუტატთა პალატაც, მაგრამ სენატის ნებართვით კი, რაიც პრეზიდენტის ამ უფლებას აქარწყლებს.

პირადად პრეზიდენტის გავლენა იმაში გამოიხატება, რომ ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობს.

მინისტრები პარლამენტის წინაშე აგებენ პასუხს. მოქალაქობრივი თავისუფლება საფრანგეთში, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი რესპუბლიკაა,—უფრო შეზღუდულია, ვიდრე ინგლისში. პრესსა და სიტყვა თავისუფალია, მაგრამ უბრალო ეჭვიც კი საკმარისია, რომ ესა თუ ის საეჭვო პირი დააპატიმრონ.

შვეიცარია.

შვეიცარია ევროპაში ერთად ერთი ფედერატიული რესპუბლიკაა (გერმანია ფედერატიული სახელმწიფოა. მის წესწყობილებაში და მართვა-გამგეობაში დემოკრატიული პრინციპები უფრო ფართოდ და ყოველ მხრივ არის განხორციელებული, ვიდრე ევროპის სხვა რომელსამე სახელმწიფოში. შვეიცარიაში სამოქალაქო თავისუფლება უფრო მეტიც არის, ვიდრე ინგლისში, და არა ნაკლები.

რადგან შვეიცარია სულ სხვა და ენაზე მოლაპარაკე ეროვნებებით არის დასახლებული, ამიტომ შვეიცარიის კავშირმა ყველა ეროვნებას სრული თანასწორობა მიანიჭა და ამით სრულიად მოსპო ეროვნიული შუღლი და სხვადა-

---

*) მაპოვალოვის თხზულებიდან.

მირალი როჟესტვენსკი, ნებოგატოვი და მთელი შტაბი ნაღმოსან „ბედოვი“-ზე გადავიდნენ და გაიქცნენ, ფლოტი კი მარტო დასტოვეს; მაგრამ მაინც ვერ გაიქცნენ: ტოგოს ნაღმოსანი წამოეწია და დაიჭირა ყველა, მაგრამ საკვირველი ის არის, როგორ დანებდა „სასანამის“, რომელიც „ბედოვი“-ზე გაცილებით პატარა და სუსტია? რას ნიშნავს ეს ამბავი? რად გადავიდნენ რუსეთის ადმირალები და მათი შტაბი ნაღმოსანზე? ან რად გაიქცნენ ბრძოლის ველიდან იმ დროს, როცა დანარჩენი გემები იბრძოდნენ? (რ. ვ.).

ცუსიმას ბრძოლის შედეგი და ზავი. ამ საარაკო ბრძოლას უდიდესი შედეგი მოჰყვა. ამ შედეგის სიდიადისა და რაოდენობის აღნიშვნა ეხლავე შეუძლებელია. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ 14 მაისიდან იაპონია სამუდამოდ ჩაეწერა პირველხარისხოვან სახელმწიფოთა სიაში, რუსეთი კი, პირიქით, ამ სიიდან ამოიშალა. იაპონიამ მთელი შორეულ-აღმოსავლეთი ხელში ჩაიგდო და იქაურ ზღვებში ბატონობსო. ამის შესახებ ,,ნოვოე ვრემია‘‘-ს ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ: ,,აქ თითქმის ყველა მოელოდა რუსეთის ფლოტის დამარცხებას, მაგრამ იმას კი ვერავინ იტყოდა, რომ როჟესტვენსკის ფლოტი თითქმის მთლად განადგურდებოდა. გაზეთებში შურისძიების კილო არა სჩანს, პირიქით, რუსეთს სიბრალულით-ღა იხსენიებენ. ყველანი აღიარებენ, რომ შორეულ-აღმოსავლეთში დ მთელს აზიაში ევროპიელთა ბატონობას ბოლო ელება და ამას შემდეგ ვერც ერთი ევროპიელი სახელმწიფო ვერ დაიკვებს აზიაში პირველობას.

ეხლა ყველანი მხოლოდ იმას-ღა ცდილობენ, რომ რაც, აზიაში აქვთ, ის მაინც შეინარჩუნონ და როგორმე დაუმეგობრდნენ იაპონიას, რომელიც დღეიდან თავის მეგობრობას ძალიან ძვირად დააფასებს. ინგლისსაც გულით უნდა კავშირის განახლება, მაგრამ ცხადია, რომ იაპონია ძველის პირობებით კავშირის განახლებას არ დასთანხმდება. „სტანდარტი“ ახადებს, 14 მაისიდან ინგლისი იაპონიას სამუდამოდ უნდა დაუკავშირდესო. გერმანიის იმპერატორი ისეთის პატივითა და ისეთის ამბებით მიეგება იაპონიის პრინცს არისუგავას, რომ მთელმა ქვეყანამ თვალები დააჭყიტა, ვაი თუ გერმანია იაპონიას ძალიან დაუმეგობრდესო. საზოგადოდ იაპონიის უკანასკნელმა გამარჯვებამ მთელს ევროპას თავზარი დასცა და ცოტათი შეაშინა კიდევაცო.

იმავე გაზეთის მეორე კორესპონდენტი ვენიდან იუწყება: „პრესსა ერთხმად აღნიშნავს იაპონიის არაჩვეულებრივ გამარჯვებას და აცხადებს, ეს გამარჯვება ევროპის სახელმწიფოთა კავშირებს ხელმეორედ გამოსჭრის და სულ სხვანაირად შეჰკერავსო.

„რუს. სლ.“-ს კორესპონდენტი პარიზიდან იუწყება: „მთელმა ევროპამ მიაქცია ყურადღება ,,ტაიმს‘‘-ის მეთაურ წერილს, რომელსაც ოფიციალური ხასიათი უნდა ჰქონდეს. ,,ტაიმს‘‘-ი აცხადებს: როცა იაპონიამ ჩინეთი დაამარცხა, დიდი სახელმწიფოები საქმეში ჩაერივნენ და იაპონიას გამარჯვების ნაყოფი ხელიდან გამოსტაცეს. ეხლა ევროპის სახელმწიფოები ამის გამეორებას ვეღარ გაბედავენ. ინგლისია ამის თავდები, ინგლისი უზრუნველჰყოფს იაპონიის-მიერ თავის გამარჯვების ნაყოფის მომკასაო (რ. ს.).

ცუსიმას ბრძოლას, რასაკვირველია, ზავი მოჰყვებაო,—ერთხმად იმეორებს მთელი ქვეყანა და ამ ზავის პირობასაც ასახელებენ. ევროპის გაზეთებს ნამდვილ წყაროებიდან გაუგიათ, რომ იაპონია შემდეგის პირობებით შეურიგდება რუსეთს: რუსეთმა იაპონიას 2 მილიარდი მანათი უნდა მისცეს, ვლადივოსტოკის ციხე დაანგრიოს, დაუთმოს კუნძული სახალინი, პორტ-არტური, ლიაოდუნის ნახევარ-კუნძული, მანჯურიის რკინის გზა, კორეაში პირველობა იაპონიას დაუთმოს და რამდენისამე წლის განმავლობაში შორეულ-აღმოსავლეთში არც ერთი სამხედრო გემი არ იყოლიოს (რ. ვ.).

„ბირჟ. ვედ.‘‘-ს პარიზიდან დეპეშით ატყობინებენ: საფრანგეთის უცხო საქმეთა მინისტრმა დეპეშით აცნობა თავის ელჩს პეტერბურგში, ზავის შესახებ მოლაპარაკება დაიწყეთო. ამბობენ, ვითომ მოლაპარაკება უკვე დაწყებულიყოს. თუ ეს საქმე სასურველად ვერ გათავდა, საფრანგეთი მთელს ევროპას შეაერთებს, მებრძოლთ ძალას დაატანს და ომის გაათავებას მოსთხოვს (რ. ვ.).

ცუსიმას ბრძოლა და პეტერბურგის საზოგადოება. პეტერბურგის ყველა გაზეთი ღელავს, შფოთავს და ბრაზობს, რუსეთის ესკადრის განადგურებამ არავითარი გავლენა არ იქონია პეტერბურგის საზოგადოებაზეო. ,,რაზსვეტ‘‘-ი სწერს: ,,გარეშე მაყურებელს ეგონება, თითქოს რუსეთი არ ომობდეს, თითქოს მთელი სახელმწიფო ძირიან-ფესვიანად არ შეირყა. ევროპის რომელსამე სახელმწიფოს ის დღე რომ დაჰმართოდა, რაც რუსეთს, მთელი ხალხი აღსდგებოდა, ქუჩები გაივსებოდა და მთელს ერს ბრაზი და აღელვება მოიცავდა. ჩვენ კი... ერთი ნახეთ, რა ამბავია პეტერბურგში იმ დროს, როცა ყველამ იცის, რომ რუსეთის უკანასკნელი იმედი ჩაიფუშა... 12 ათასი მეზღვაური დაიღუპა, 500 მილიონი მანათი ზღვამ შთანთქა. რუსეთის სატახტო ქალაქში კი ამ დღეს თეატრები და კაფეშანტანები უფრო კარგად მუშაობდნენ, უფრო კარგად ვაჭრობდნენ, ვიდრე წინად. მაგრამ ყველაზე უფრო ასაშფოთებელი ის იყო, რომ კაფეშანტანებში პირველი რიგები გენერლებითა და ადმირალებით იყო სავსე. აქეთ-იქიდან უსტვენდნენ, შენიშვნებს აძლევდნენ, დასცინოდნენ, მაგრამ გენერლები და ადმირალები ყურსაც არ იბერტყავდნენ“. (რ.).

* * *

რუსულ გაზეთების აზრი როჟესტვენსკის დამარცხების შესახებ

გაზ. „სინ ოტეჩესტვა“-ში მეთაური წერილია დაბეჭდილი. რუსეთის ხსნას გაზეთი მხოლოდ ბიუროკრატიულ რეჟიმის მოსპობაში ხედავს. იგი სწერს:

«მესამე ესკადრის განადგურებას მხოლოდ უბედურებად, ღვთის რისხვად და აუცილებელ განცდად ვერ მივიჩნევთ. ეს აუცილებელ უფსკრულის კიდეა, სადამდინაც მიიყვანა ჩვენი ქვეყანა იმ გათახსირებულმა წესწყობილებამ, რომელიც, თუ არ მოისპო, მთელს ჩვენს ქვეყანასა დ მთელს ხალხს აღგვას უქადის პირისაგან ქვეყნისა.

ამ სისტემამ მთელის ხალხის ძალღონე გაანადგურა; მთელი მისი სასიცოცხლო ცხოველმყოფელობა და ენერგია დააჩლუნგა და მხოლოდ გარეგან ბრწყინვალებასა და თავის მოსატყუებელ ფარფაშს დაუთმო ფართე ასპარეზი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ შორიდან მოელვარე და ბრწყინვალე, მრავალსართულიანი უზარმაზარი სასახლე შლამზე ყოფილა აგებული.

ამ წესწყობილებამ გამოფიტა ხალხის ნივთიერი ძალღონე, ხალხს სულიერი ძალ-ღონე გამოსწუწნა, უფლება და ნება გულში ჩაუკლა და დაუმახინჯა, ყოველსავე თვითმოქმედებას კრიჭაში ჩაუდგა, თავისუფლების ტრფიალება და თვითშეგნებისადმი მისწრაფება მთლად დაუფლა, გაუბათილა,

ისტორია კი, მიუდგომელი და შეუბრალებელი ისტორია, თავისას არ იშლიდა, დღითი-დღე თავს უყრიდა ყველა საბუთებს, რომ ერთს მშვენიერს დღეს ანგარიში მოეთხოვა, ყოველ უკუღმართობისათვის მიუდგომელი მსჯავრი დაედვა.

და როდესაც განკითხვის დღე დადგა და ისტორიამ ანგარიში მოითხოვა, აღმოჩნდა, რომ ნაღდი თანხა არსად იყო, ზარალი კი—აღურიცხველი.

ეს წესწყობილება ახალი არ არის ისტორიისათვის და არც რუსეთია მარტო მისი შემომქმედი. იგივე წეს-წყობილება ედვა სარჩულად მთელს აღმოსავლეთისა და დასავლეთის სახელმწიფოებსაც. მისი შედეგი და ბოლო კი ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივეა: საკმარისი იყო ერთი პატარა შემთხვევა და მთელი წესწყობილება და თვით სახელმწიფოც ირყეოდა და პირქვე ემხობოდა. ჩვენდა საბედნიეროდ, რუსეთს ამ განკითხვის ჟამს ისტორიამ ანგარიში მოსთხოვა უცხო მიწა-წყალზე და, თუმცა სისტემა შეარყია და დასცა, მაგრამ სახელმწიფოს მთავარი ძალა ხელუხლებელი დასტოვა. სადამდე მიგვაღწევინებდა ეს წეს-წყობილება და სისტემა, სადმე უფრო მახლობლად რომ რუსეთს დასცემოდა თავზე მედგარი მტერი?—დაფიქრებაც კი საშინელია რუსებისათვის ამაზე.

ბიუროკრატიამ ყოველივე იღონა თავის გადასარჩენათა და დასაცავად: ხელგაშლით, დაუზოგავად და გულუხვად ჰფლანგავდა სახელმწიფო სალაროს თანხას, საქმის მოსაგებად.

ამ შემაძრწუნებელს დრამაში ბიუროკრატია თავზე გადაახტა მთავრობას, ხალხი კი სცენის სიღრმეში, სადღაც კუნჭულში მიჰყლიტა.

ჩვენს წინ მთელის ქვეყნის საკითხი იშლება, მის მთლიანობის დაცვა, მის მომავლის უზრუნველყოფა, მკვიდრსა და შეურყეველს ნიადაგზე დამყარება და ხელ-შეუხებლობა, ე. ი. წესწყობილება, რასაც ხალხის სულიერი და ნივთიერი ძალღონე დაუდგება თავდებად, რასაც ხალხის შემოქმედებითი ნიჭი დაამყარებს. რუსეთმა უნდა განაახლოს სახელმწიფო, უნდა აღადგინოს დაკარგული ნდობა და სახელი, წაახალისოს და აალორძინოს მოჩრდილული ძალ-ღონე. აქვს თუ არა ბიუროკრატიულ წესწყობილებას რაიმე ნიშან-წყალი ამ შრომისთვის გამოსადეგი? მოეპოვება მას რაიმე ვარგისი და საკმაოდ ცხოველმყოფელი მასალა ამ ახალ შენობის ასაგებად? არა, რომ ჰქონოდა რამ მისი მსგავსი, ასე მოულოდნელად როდი დაემხობოდა ყოველივე.

— კმარა! ხალხს მიხედეთ! წარმომადგენელთ მოუწოდეთ!.. ქვეყანა განსაცდელისაგან გადაარჩინეთ!—

შეუდრეკელ ვაჟ-კაცობას იჩენს მხოლოდ ვ. ვ. კომაროვის გაზეთი ,,**სვეტი**‘‘:

„ვიბრძოლოთ უფლოტოდო, მაგრა დავუხვდეთ მტერს ხმელეთზე, „ნუ მივიღებთ სამარცხვინო ზავს, რომელიც რუსეთს მეორე ხარისხოვანად გახდის და შინაც დაასუსტებს მას, ღმერთი უშველის რუსეთს. ერთ მტკაველ მიწასაც არ დავუთმობთ მტერს და არ დავატყვევებინებთ ეკონომიურად არც ციმბირს, რომელსაც რუსის ხალხი დაეინებით და სისტემატიურად იპყრობდა სამი საუკუნის განმავლობაში, არც ევროპის რუსეთს, თუნდაც რომ გერმანიის მეზობელი ჩვენს მტერს კისერზე ჩამოეკიდოს და ეცადოს დაიმსახუროს მისი მეგობრობა და მოწყალება, როგორც უფრო ძლიერისა. ეხლა სულით დაცემა—პირდაპირ დანაშაულობაა!“

„**ნაშა ჟიზნ** სწერს: „შთაბეჭდილება საერთოდ ძლიერია, მაგრამ ამასთანავე საზოგადოებრივი აზრი მეტად მწვავედ აყენებს კითხვას შინ და გარედ მშვიდობიანობის დამყარების შესახებ, აღიარებს აუცილებლობას საჩქაროდ ძირითად რეფორმებისას, რუსეთის სახელმწიფო ცხოვრების გამობრუნებისას, ყველაფრის გულ-ახდილად აღიარებისა და პროგრესიულ პროგრამისას... უკანასკნელ დღეების საშინელებამ უნდა თვალები აგვიხილოს. ჩვენ ველით სახალხო წარმომადგენლობის მოწვევას და მისთვის საჭირო ყოველგვარ გარანტიას მოვითხოვთ“.

„**მოსკოვსკია ვედომოსტში**“ სწერია:

„როჟესტვენსკის ესკადრას შეეძლო დიდძალი ვნება მოეტანა იაპონელებისთვის, მაგრამ საბოლოოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა კი მაინც არ ექნებოდა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ყოველთვის ჰქონია და ახლაც აქვს მხოლოდ რუსეთის ხმელეთის სიძლიერეს.

ომის სათავეშივე დაწყებული პროპაგანდა რევოლუციონურ ელემენტებისა ახლა უფრო გაძლიერდა. რევოლუციონერები ამყარებენ თავის იმედებს იაპონიის გამარჯვებაზე. ამიტომ,—აუცილებლად საჭიროა ბოლო მოეღოს თავხედურ რევოლუციას ამის. **მიღწევა შეიძლება მხოლოდ დიქტატურით.** საჭიროა მთელს რუსეთში, ყველა განაპირა ქვეყნებში შემოღებულ იქმნას სამხედრო წესები იმ დრომდის, სანამ არ მოისპობა ამბოხება—როგორც პრესსაში, ისე საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრებაში“.

გაზ. „**რაზსვეტი**“ თავზარ დაცემულია:

„ამის მსგავსი უბედურებება არ უნახავს მსოფლიო ისტორიასო. მომავლის იმედიც მოისპო. ბრძოლის ველზე შერცხვენილი შინაურ ცხოვრებაშიაც ირღვევა რუსეთი. დღეს თუ ხვალ, რუსეთს დიდი ამბები მოელის... საშინელებაა! იქ, ცუსიმას კუნძულთან, უზარმაზარ რუსეთის ბედის ბორბალი მობრუნდა...

ამ საშინელმა დამარცხებამ მთელი კაცობრიობა ააღელვა, აუღელვებელი დარჩა მხოლოდ რუსეთის დედა-ქალაქი...

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტებისაგან)

ერევანი, 23 მაისი. **დღეს ორშაბათს, შუადღის შემდეგ, ქალაქში თათრებსა და სომხებს შორის დიდი არეულობა მოხდა. მოკლულია და დახოცილი** 25 **კაცამდე სომეხი, თათარი მხოლოდ ორი. ქუჩებში ჯარი დადის.**

ერევანი, 24 მაისი. **დღეს ერევანში ყველა კარჩაკეტილია მაღაზიებსა და სახლებში. დიდი შიშიანობაა. წუხანდელმა ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.**

ქუთაისი, 24 მაისი. **წუხელის როდესაც ადელგეიმების წარმოდგენა გათავდა, თეატრიდან მიმავალს გადასახადების ინსპექტორს ილია ჩიქოვანს ბულვარში ვიღაც უცნობმა კაცმა რევოლვერი ესროლა და ტყვიით მუცელში მძიმედ დასჭრა. ჩიქოვანი საავადმყოფოში წაიყვანეს. ჰფიქრობენ, რომ ამ შემთხვევას მიზეზად რაღაც პირადი მტრობა ჰქონდაო.**

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 24 მაისს, რკინის გზის **სახელოსნოებსა და დეპოში მუშაობა არ იყო.** სახელოსნოებსა და დეპოს სადგომებს კაზაკები და ჯარის კაცები სდარაჯობდნენ.

✦ უსახელო საზოგადოების მთავარმა სამმართველომ **ბელგიიდან აცნობა ქალაქის მოურავს,** ჩვენმა გამგეობა თავის წარმომადგენლებს—გრიმანისსა და მუტრიეს—სამედიატორო სასამართლოს დაარსებაზე უფლება არ მისცაო.

✦ შაბათს, 21 მაისს, **განსაკუთრებული კომისია,** მაზრის უფროსის თ-დ ჯანდიერის, საგუბერნიო საგლეხო გამგეობის წევრის კოლობოვის, მომრიგებელ შუამავლის ჩოლოყაშვილისა და ბ-ნ მისენკოსაგან შემდგარი, **გაემგზავრა სოფელ დიღომს,** რომ ადგილობრივ გამოიკვლიონ მიზეზები მემამულეთა და გლეხთა შუა ატეხილ უთანხმოებისა მიწის მფლობელობის შესახებ.

✦ ტფილისის გუბერნატორმა ყველა **მომრიგებელ შუამავლებს მოსთხოვა ცნობები** იმის შესახებ, თუ ამ წელს რამდენი დესეტინა მიწა მოხნეს და დათესეს გლეხებმა, რამდენი დესეტინა დარჩა მოუხნავ-დაუთესავი და როგორი მოსავალია მოსალოდნელიო.

✦ მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულმა **ბაქოსა და განჯის** გუბერნიებში გაგზავნა აგრონომი სააკოვი, რომ ადგილობრივ მმართველობას კალიის დახოცვაში დახმარება აღმოუჩინოს.

✦ ყარსის ოლქიდან ტფილისში დაბრუნდა საქართველოს ექსარხოსი.

✦ უფის საერობო უფროსი **ლევშინი** ახალ ქალაქის ნაწილის **მომრიგებელ შუამავლად დაინიშნა.**

✦ ქართლ-კახეთის სინოდალურ **კანტორის წევრებად ინიშნებიან** არქიმანდრიტი დოსითეოსი და დეკანოზი მარკოზ ტყემალაძე.

✦ ქალაქის მოურავმა **დეპეშა მიიღო მოსკოვის ქალაქის მოურავის თ-დ გოლიცინისაგან,** რომლითაც იგი იწვევს იმპერიის ქალაქების მოურავთა კრებაზე. ქალაქის მოურავი გუშინ, 24 მაისს, ექსპრესით გაემგზავრა მოსკოვს და თან წაიღო უმთავრესი საქმეები, რომლის გადაწყვეტაც დაუყოვნებლივ საჭიროა.

✦ რედაქციამ მიიღო შემდეგი წიგნები: 1) **დაწყებითი განათლება,** პ. სურგულაძისა, გამოცემა ,,ნაკადულის‘‘ რედაქციისა, შეიცავს 46 გვერდს და ღირს სულ 6 კაპ.; 2) **ათი მოთხრობა** ივ. მაჰავარიანისა, წიგნის მაღაზია ,,ცოდნა‘‘-ს გამოცემა, შეიც. 68 გვერდს, ღირს 20 კ.; 3) **ხალხური ვეფხის-ტყაოსანი,** შეკრებილი სოსიკო მერკვილაძისაგან. წიგნის მაღაზია ,,ცოდნა‘‘-ს გამოცემა. შეიც. 62 გვ. ღირს 10 კაპ.; 4) **სანთური—ნათარგმნი ლექსები** თომა კარგარეთელისა, შეიცავს 44 გვერდს და ღირს 10 კაპ.

ცოტა რამ ქარგლების მდგომარეობის შესახებ

ახლანდელ დროში, როცა მთელი ჩვენი ცხოვრება მოუწყობელია, როცა საზოგადოების არცერთი კლასი არ არის კმაყოფილი არსებულ ბიუროკრატიულ წესწყობილებით, როცა რუსეთის ყველა კუთხიდან გაისმის მედგარი ხმა ბრძოლისა და პროტესტისა,—ამ დროს კერძოდ საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფის არა-ნორმალურ მდგომარეობაზე ლაპარაკი ზედ-მეტიც არის. მაგრამ როცა ეს არა-ნორმალური მდგომარეობა უმაღლეს წერტილამდის აღწევს და ყველას თვალში ეჩხირება, ამ დროს შეუძლებელი ხდება, რომ პრესსამ ხმა არ ამოიღოს და თავისი პირუთვნელი მსჯავრი არ დასდოს.

დღევანდელ წერილში მკითხველის ყურადღება ქარგალთა მდგომარეობას მსურს მივაქციო. თუმცა ქარგლებს ბევრი რამ აქვთ საერთო სხვა მოქირავე მუშებთან, რომელნიც, კაპიტალისტურ წყობილების სიმკაცრით, სასტიკად იტანჯებიან, მაგრამ მათს ყოფა-ცხოვრებას ახლავს ზოგიერთი ისეთი მხარე, რომელიც სხვა მუშებისათვის უცნობი და განუცდელია.

მართლაც, რაღაც არა-ჩვეულებრივ რამეს წარმოადგენს ეგრედ წოდებული „ფრანცეცელი“. ბევრ მკითხველს, შეიძლება, პირველად ესმოდეს ეს სიტყვა. ასე ეწოდება იმ მოწმობას, რომელსაც ალა ყოველ ახალ ქარგალს სთხოვს ხოლმე ადგილზე დადგომის დროს. ამ „ფრანცეცელში“ უნდა იყოს აღნიშნული, რომ ქარგალს ერთი ბეწოც არ უწყენებია თავის ალისთვის, ერთი ფეხიც არსად გადაუდგამს მის ნებადაურთველად ერთი წვეთი ღვინოც არ დაულევია ალის დაუკითხავად, ერთი კაპეიკიც არ წაუღია ალისგან, ერთის სიტყვით, ამ მოწმობაში უნდა იყოს აწერილი, თუ როგორი დამჯერე და მორჩილი იყო ქარგალი ალისა. თუ ასეთი მოწმობა არა აქვს ქარგალს,—ადგილს ვერსად იშოვის.

უსტაბაშებს ხელში აქვთ მთავრობისაგან დამტკიცებული წესდება, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ ქარგალსა და ალას შორის მომხდარ უთანხმოების გასარჩევად, მაგრამ ისინი ამას არ დასდევენ. უსტაბაშები ისე იქცევიან, როგორც ხუსტურში მოუვლით. თითოეული მათგანი თავის ნებაზე, თავის კანონით ასამართლებს ალასა და ქარგალს თავის ამქარში. რა თქმა უნდა, მიდგომ-მოდგომას აქ ფართო ასპარეზი აქვს დათმობილი. გამართლებულიც ის გამოდის, ვინც ალას ,,ტილიპუჭურში‘‘ ლაზათიანად გაუმასპინძლდება.

მადა დიდი აქვთ უსტაბაშებს და ხშირად გამასპინძლებითაც არ კმაყოფილდებიან და სხვადასხვა ხრიკებს იგონებენ ქარგლების გასაყვლეფად. ამისი მაჩვენებელი მაგალითები მრავალთ-მრავალია. მაგალითად, ქალაქში ასეთი ჩვეულებაა: თუ ვინმე მდიდარი მოკვდა, მიცვალებულის გასვენებას დაესწრება ამქარი და მიაქვს კუბო; გარჯისათვის ამქრის წარმომადგენლებს რამდენსამე თუმანს აძლევენ. წესით ეს ფული თანასწორად უნდა გაუნაწილდეს წევრებს, მაგრამ ნამდვილად კი ეს არას დროს არა ხდება ასე. ფულის განაწილების დროს რაღაც საერთო კასსაც კი ახსენდებათ, რომელიც არავინ იცის, ნამდვილად არსებობს თუ არა. ეს კი დანამდვილებით ვიცით, რომ როცა რომელიმე გაჭირვებული ხელოსანი მიდის უსტაბაშთან და დამხმარებელ კასიდან ფულსა სთხოვს, უსტაბაშისაგან ცივ უარს ღებულობს: ,,რის ფული, რა ფულიო, ამქარს ფული კი არა, ვალი აქვსო‘‘, ეუბნება უსტაბაში.

ქარგლისთვის ატესტატის მიცემის დროსაც არ ჰკარგავს უსტაბაში მადას. პირველად ქარგლები ატესტატისთვის ოცდა-ხუთ მანათს იხდიდნენ, შემდეგ მთავრობასთან შუამდგომლობა აღძრეს და მთავრობამ მხოლოდ სამი მანათი დააწესა. 1897 წელს ნოემბერში ოფიციალური ცნობაც იყო ამის შესახებ გაზეთებში, მაგრამ უსტაბაშები თავისას არ იშლიან და ქარგლებს თითო მოწმობაში ორ თუმანზე მეტს ახდევინებენ.

გულშემატკივარი.

რუსეთი

პეტერბურგის ადმინისტრაციის თხოვნით, სამხედრო **სამინისტრომ პეტერბურგიდან საალლუმოდ წასული ჯარი პეტერბურგშივე დააბრუნა.** გვარდიის პოლკები ცარსკოე სელოში იყვნენ საალლუმოდ, მაგრამ მიიღეს თუ არა ბრძანება (18 მაისს), მაშინვე პეტერბურგისკენ გასწიეს. 19 მაისს პეტერბურგში შევიდა არტილერია, კაზაკთა რამდენიმე პოლკი და გვარდიის 5 პოლკი, სულ 15 ათასი კაცი. დანარჩენი ჯარი თანდათან უკანვე ბრუნდება (რ. ვ.).

✦ განთქმულ სტატს-სეკრეტარს ბეზობრაზოვს (იალუს კონცესიების გმირს) ბევრი უჩივის, ზარალი მომაყენაო. ამის გამო რუსეთში ხმა დადის, ბეზობრაზოვს ხარისხს წაართმევენ და სასამართლოში მისცემენო. უკანასკნელ დროს აღმოჩნდა, რომ **ბეზობრაზოვს ბევრი ჭუჭყიანი საქმე აწევს კისერზეო.** პრესსას მაინც არა სჯერა, რომ ბეზობრაზოვი სამართალში მისცენ და თუნდაც მისცენ, არაფერი გამოვა, რადგან ბეზობრაზოვი, დიდი ხანია, რუსეთიდან გაიპარაო. (რ. ვ.).

✦ შინაგან საქმეთა **მინისტრი პეტერბურგში ახალ საპყრობილეების ასაშენებლად კარგა ბლომად ფულს თხოულობს.** ამჟამად პეტერბურგის საპყრობილეები სულ სავსეა პატიმრებით. (ნ.).

✦ 14 მაისს, სედლეცის მახლობლად, აჯანყებული ხალხი შეკრებილა. მალე ჯარი მისულა და ხალხს გარსშემორტყმია. შეტაკების დროს **დაიჭრა 50 კაცი და მოკვდა 20** (რ. ვ.).

✦ 16 მაისს ლოძში მუშებსა და ჯარს შეტაკება მოსვლიათ. დაიჭრა 15, მოკვდა 3. (რ.).

✦ ერთს ბობოლა მეზღვაურს, რომელიც ,,მეოთხე ესკადრას“ მისდევს შორეულ აღმოსავლეთში, ,,პეტ. გაზ.‘‘-ს თანამშრომლისათვის უთქვამს“: **მეოთხე ესკადრა შორეულ აღმოსავლეთში ივნისის დამდეგს წავა.** მერე მეხუთე და მეექვსე ესკადრასაც გავგზავნით. ათის და ოცის წლით ვიომებთ, მაგრამ იაპონიას არაფერს დავუთმობთ. არ დავუთმობთ იმ დრომდის, სანამ ერთი ერი მეორეს არ გაანადგურებს‘‘ (ს. ო.)

✦ რადგან **რუსეთის მთავრობას საომრად ფული შემოაკლდა,** ამიტომ სატყეო დეპარტამენტს ფულის საშოვნელად განუზრახავს ვოლოგდის გუბერნიაში აუარებელ ტყის გაყიდვა. ჯერ-ჯერობით ამ ტყეებში უცხოელთა ორმა უზარმაზარმა ქარხანამ დაიწყო მუშაობა. ამბობენ, ხაზინა სხვა ტყეებსაც გაჰყიდისო (ს. ო.).

✦ 13 მაისიდან **უფის გუბერნიაში გაძლიერებულ დაცვის წესები შემოიღეს** (ს. ო.).

✦ პუტილოვის ქარხნის მუშებმა არა ერთხელ მოითხოვეს 9 საათის სამუშაო დღე, მაგრამ ქარხნის პატრონებმა არ დაუთმეს. ბოლოს **მუშებმა გადასწყვიტეს, ჩვენვე შემოვიღოთო 9 საათი** და ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანეს. 10 მაისიდან საღამოს 5 საათზე მუშები სამუშაოს თავს ანებებენ, ნებართვას აღარ უცდიან და შინ მიდიან. ქარხნის ადმინისტრაცია ძალიან გაბრაზებულა, მაგრამ ვერაფერი [illegible]გებია. მოთავეების დათხოვნა უნდოდათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ 7000 მუშა ისე მაგრა ყოფილა შეკრული, რომ ადმინისტრაციამ თავის განზრახვას მაშინვე ხელი აიღო.

✦ პეტერბურგიდან ერთი [illegible] წერილი [illegible] 78 [illegible]და! (ს. ო.).

ქალაქის საბჭო

(23 მაისის კრება)

ხმ. ხუდადოვი გამგეობას ყურადღებას აქცევს შემდეგს გარემოებას. ზოგიერთ ქუჩებზე [illegible] ძალიან [illegible] ხალხით და ბევრ [illegible] ნახევარ საათს [illegible] ზოგიერთ ადგილებში [illegible] და ვერის [illegible] ისეთი [illegible] ბაა, რომ ამ გარემოებას, როგორც ქალაქს [illegible]

სხვა ეტნიური ჯგუფები შეაერთა შვეიცარიის ერთ ხალხად, რომელსაც საერთო ეროვნული თვითშეგნება აქვთ: შვეიცარიის ქვეშევრდომი გერმანელი გერმანიისკენ არ იწევს, ფრანგი—საფრანგეთისკენ, იტალიელი—იტალიისკენ.

შვეიცარიის სახელმწიფო წესწყობილება დამყარებულია 1874 წლის კანსტიტუციაზე, რომელიც შემდეგში მრავალჯერ შეიცვალა და გადაკეთდა. შვეიცარია შესდგება 25 ცალ-ცალკე სახელმწიფოსგან (22 კანტონი, მათ შორის სამი კანტონი ორ-ორად არის დაყოფილი) ყველა კანტონებში სხვადასხვა-ნაირი წესწყობილებაა, მაგრამ ყველა მათგანი მაინც რესპუბლიკაა და საერთოდ შვეიცარიის კავშირიც რესპუბლიკას წარმოადგენს. კავშირის მთავრობის ორგანოებს წარმოადგენენ: საკავშირო კრება, რომელსაც კანონდების უფლება აქვს, საკავშირო საბჭო—აღმასრულებელი, საკავშირო სასამართლო—სასამართლოს უფლება; გარდა ამისა, მთელი ხალხიც პირდაპირ მონაწილეობას იღებს კანონდებაში, ესრედ წოდებულ, რეფერენდუმის საშვალებით.

საკავშირო საბჭო იგივე პარლამენტია, მხოლოდ მისი საკანონმდებლო უფლება შეზღუდულია ხალხის რეფერენდუმითა და ინიციატივით და არა პრეზიდენტის უფლებით, რომელსაც ძალიან მცირე ძალა აქვს (გარდა პატიების უფლებისა).

საკავშირო კრება ორ პალატისაგან შესდგება:

1) ეროვნული საბჭო, რომელსაც საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით ირჩევენ 3 წლით. 20 ათასი მცხოვრები 1 დეპუტატს ირჩევს, ამასთან ყოველ კანტონს ანუ ნახევარ კანტონს ნება აქვს, სულ ცოტა, 1 დეპუტატი მაინც აირჩიოს.

ეროვნულ საბჭოს დათხოვნა ვადამდის არავის არ შეუძლიან.

2) კანტონების წარმომადგენელთა საბჭოში წინაალმდეგ ეროვნულ საბჭოსი, რომელიც შვეიცარიის ხალხის დეპუტატებისაგან შესდგება, 44 წარმომადგენელია; თითო კანტონი ამ საბჭოში 2 დეპუტატს ირჩევს, არჩევანის წესრიგსა და არჩეულ დეპუტატთა ვადას თვითონ კანტონები აწესებენ.

ორსავე საბჭოს წევრები ჯამაგირს იღებენ. კანონპროექტებსა და ბიუჯეტს ორივე საბჭო იხილავს და კანონპროექტიც მხოლოდ მაშინ ხდება კანონად, როცა ორივე საბჭო მიიღებს მას; თუ 8 კანტონმა ან 30 ათასმა მოქალაქემ მოინდომა, ესა თუ ის კანონპროექტი ან საკითხი რეფერენდუმმა უნდა განიხილოს.

კონსტიტუციის გადაკეთება-გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი 50 ათასმა მოქალაქემ მოისურვა.

აღმასრულებელი ორგანო საკავშირო საბჭოს ხელშია. მას განაგებს საბჭოს 7 წევრი, რომელნიც მართვა-გამგეობის საქმეს ერთმანეთში ინაწილებენ. ეს დაწესებულება დიდად განსხვავდება საპარლამენტო სახელმწიფოების მინისტრთა კაბინეტისაგან, რომელსაც მინისტრ-პრეზიდენტი ადგენს. შვეიცარიაში კი მინისტრებს ხალხი კენჭით ირჩევს და მათი ცალ-ცალკე დათხოვნაც შეიძლება, სხვაგან კი თუ მინისტრ-პრეზიდენტმა სამსახურს თავი დაანება, მინისტრებიც თან უნდა გაჰყვნენ. შვეიცარიაში ეს საბჭო პასუხს არ აგებს არც პარლამენტისა და არც სახელმწიფოს მოთავეს წინაშე (ნამდვილად შვეიცარიას მოთავე არა ჰყავს); მისი წევრები 3 წლით ირჩევიან და ვადის შესრულებამდის მათი დათხოვნა შეუძლიან მხოლოდ სასამართლოს, რომელმაც საქმე უნდა გაარჩიოს და, ვინც გამტყუნდება, სამსახურიდან გადადგება, დანარჩენები თავთავიანთ ადგილზე დარჩებიან.

კანტონების კონსტიტუციის დადგენილებანი საკავშირო კრებამ უეჭველად უნდა დაამტკიცოს, თუ 1) მათში არაფერია ისეთი, რაიც საკავშირო კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდეს, 2) თუ მათ რესპუბლიკანური ხასიათი აქვთ, და 3) უარს არა ჰყოფენ უმეტესობის უფლებას, რომელსაც შეუძლიან მისი ხელმეორედ გადათვალიერება მოითხოვოს.

—

ბჭოში, ყურადღება უნდა მივაქციოთ. როგორც ეტყობა, ტრამვაის მეთვალყურე კომისია ამ გარემოებას არავითარ ყურადღებას არ აქცევს, მაშინ, როდესაც ნება აქვს დააჯარიმოს უსახელო საზოგადოება, თუ ის ვაგონების საჭირო რიცხვს არ ატარებსო. გამგ. წევრი ჩერქეზიშვილი უპასუხებს ხმოსანს: უსახელო საზოგადოების დაჯარიმება ჩვენ არ შეგვიძლიან, რადგან, ხელშეკრულობის ძალით, საზოგადოებამ ყველა ქუჩებზე სამოცი ვაგონი უნდა ამუშაოს, ჩვენ კი ვიცით, რომ ის მეტსაც ამუშავებს; ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ მოვსთხოვოთ მას, რომ ვაგონების რიცხვს კიდევ მოუმატოს, რადგან ეს ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებასაო. ხმ. ხუდადოვი. რა ხელშეკრულობა გაქვთ თქვენ, არ ვიცი, შეგიძლიანთ დააჯარიმოთ თუ მოსთხოვოთ, არც ეს ვიცი, მე ვიცი მხოლოდ, რომ მცხოვრებნი თავიანთ უკმაყოფილებას აცხადებენ და ისიც ვიცი, ჩვენი ხმოსნების, ლაპარაკი და შენიშვნები რჩება ხმად მღაღადებელისად უდაბნოსა შინა. გამგეობა ჩვენს თხოვნა-განცხადებას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. თავმჯდ. ჰკითხულობს გუბერნატორის ქაღალდს. გუბერნატორი ამტკიცებს საბჭოს დადგენილებას 5,000 მანათის გადადების შესახებ და თხოულობს, ეს ფული გარდაეცეს ნახიჩევანში შემდგარ კომისიას და ამ ფულის განაწილება მას მიენდოს. ხმ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი. ქალაქის საბჭო, მე მგონი, ისეთი ღირსეული ორგანოა, რომ მას შეუძლიან მის მიერ შეწირული ფული, თავის სურვილისამებრ მოახმაროს! ხმ. ბაბოვის აზრით, კანონით გუბერნატორს აქვს ნება საბჭოს დადგენილება დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს, დარიგებისა და გზების ჩვენების ნება კი არა აქვს.

რადგანაც ეს საკითხი მორიგ საქმეებში არ შედიოდა, საბჭომ დაადგინა, დაწვრილებით განიხილოს იგი მომავალ სხდომაზე ხუთშაბათს, 26 მაისს.

ამის შემდეგ საბჭო შეუდგა გამგეობის მოხსენების განხილვას შესახებ ნატალია შიოევის ანდერძისა. როგორც მკითხველებმა იციან, ეს საკითხი საბჭომ გაარჩია წარსულ სხდომაზე, მაგრამ კენჭის ყრაზე რომ მიდგა საქმე, ნახეს, რომ დარბაზში ხმოსანთა კანონიერი რიცხვი არ იყო. საბჭომ მთელი ეს სხდომაც ამ საკითხს მოანდომა, ისე რომ სხვა საქმეები კიდევ შემდეგისთვის გადაიდო. რადგანაც ამ სხდომას ბევრი იმისთანა ხმოსანი დაესწრო, რომელიც წინა სხდომაზე არ ყოფილა, ხმ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ამ საკითხის განხილვას თავიდანვე შეუდგა. ხმოსნის სიტყვით, შიოევმა ქალაქს დაუტოვა ქონება, რომელსაც დღეს შემოაქვს წმინდა მოგება 9,000 მანათი წელიწადში, და თანაც დასტოვა ანდერძი, რომ ქალაქმა ამ ფულით გახსნას ტფილისში სახელოსნო სასწავლებელი, სადაც უნდა სწავლობდნენ უფასოდ სომხების შვილნი, და თუ სხვა ტომის შვილნიც მოისურვებენ ამ სასწავლებელში სწავლას, შეუძლიანთ სწავლა მხოლოდ ფასით. ანდერძში ისიც არის, რომ თუ ვინიცობაა არ მოხერხდა ქალაქში ამ ტიპის სასწავლებლის დაარსება, მაშინ ქალაქმა აირჩიოს სახელოსნო სასწავლებლებიდან საუკეთესო მოწაფე-სომეხნი და სწავლის განსაგრძობად საზღვარ-გარედ გაჰგზავნოს. სამოსწავლო კომისიამ და ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ შიოევის მიერ ნაანდერძევის კაპიტალის სარგებლით იგზავნებოდეს საზღვარ-გარედ ხელოსნობის სწავლის განსაგრძობად 15—16 ყმაწვილი კაცი. ხმოსანი ამის წინააღმდეგია. მისის აზრით, უნდა შესრულდეს ანდერძი შიოევისა, რომელშიაც ის გარკვევით თხოულობს, რომ ქალაქმა სახელოსნო სასწავლებელი გაიხსნას. თუმცა ანდერძში სწერია, რომ უფასოდ უნდა ისწავლონ მხოლოდ სომხების შვილებმა, ამას ჩვენ შეგვიძლიან ადვილად გვერდი ავუქციოთო. ამ სარგებლით სომხის 60 ყმაწვილს შეუძლიან უფასოდ ისწავლოს ამ სასწავლებელში, ჩვენ შეგვიძლიან ამ სკოლაში 60 ყმაწვილი სხვა ტომის შვილნიც მივიღოთ და ამ მიზნისთვის ქალაქმა ცოტაოდენი ფული გადასდოსო. თავ. არღუთინსკის ეწინააღმდეგებიან ხმოსნები ბაბოვი, ტიგრანოვი, იოანისიანი, მელიქ-ბეგლიაროვი და სხვა. იმათის აზრით, დღევანდელ პირობებში სკოლის გახსნა შეუძლებელია, და სამოსწავლო კომისიისა და გამგეობის დადგენილებას ემხრობიან. ხმ. ხრამელაშვილის აზრით, სამოსწავლო კომისიის დადგენილებას ვიწრო ნაციონალური ხასიათი აქვს. თუ დღევანდელ პირობებში სკოლა არ შეგიძლიანთ გახსნათო, ოც-და-ათი წელიწადი იცდიდით, მოიცადეთ კიდევ ერთი, ორი წელიწადი, პირობები შეიცვლება და მაშინ გახსენითო.

ს. ჭრელაშვილი უხსნის საბჭოს, რა პირობებში და რა მდგომარეობაში მიიღო ქალაქმა შიოევის ქონება და ანდერძი. ქალაქი არ იღებდა ამ ქონებას, რადგან მაშინ ბევრი სხვა საქმე ჰქონდაო, ბოლოს მიიღო და ოცის წლის განმავლობაში შიოევის სახლზე ქალაქს გარდასახადები არ გადაუხდევინებიაო. რომ ვიანგარიშოთ, წელიწადში ამ სახლს მოუდის 1,500—1,700 მანათი, ახლა ეს გაამრავლეთ ოცჯერ და თქვენ დარწმუნდებით, რომ შიოევის კაპიტალში კარგა ბლომად ქალაქის ფულიც ურევია, ეს ფული კი ქალაქის ყველა მცხოვრებისაა, ისე რომ, მარტო ეს გეყოფათ, რომ ამ კაპიტალს ვიწრო-ნაციონალური დანიშნულება არ მისცეთო.

საბჭომ, ბევრის კამათის შემდეგ, ხმის უმეტესობით გადასწყვიტა, ამ ფულის სარგებლით დააარსოს ქალაქში სახელოსნო სასწავლებელი და, სანამ ეს განზრახვა სისრულეში მოვიდოდეს, ამ ფულის სარგებელი კაპიტალს ემატებოდეს, რომელიც ამჟამად 60 ათასს მანათს შეადგენს.

კორესპონდენცია

სიღნაღი, 21 მაისი. მე ამას წინად გწერდით, რომ სოფ. მელაანმა ბოიკოტი გაუმართა ცნობილს თავადს ზაქარია ანდრონიკაშვილს-მეთქი. დღეს სიღნაღში მოიტანეს ამბავი, რომ თავადი ზაქარია მორიგებია გლეხებს: რაც შეიძლებოდა, დაუთმია და უჩუქებია გლეხებისათვის ტყიდამაც, მინდვრიდამაც და ვენახებიდამაც. სოფელი აღტაცებაში მოსულა ზაქარიას სულგრძელობით. გლეხებს გაუმართავთ საერთო მეჯლისი, რომელზედაც მიუწვევიათ თავადი ზაქარია და მრავალი საპატიო პირნი. ასე მშვიდობით, სიყვარულით და „გაუმარჯოს ძმობა-ერთობის“ ძახილით დასრულებულა უშველებელი აყალ-მაყალი თავ. ზაქარია ანდრონიკაშვილსა და გლეხთა შორის. კარგი იქნება, რომ თავ. ანდრონიკაშვილს სხვებმაც მიჰბაძონ.

გაღმა-მხარი —ლეკეთი ამოძრავდა და რაღასაც აპირობს. ჯერჯერობით ეს ამოძრავება გამოიხატა იმაში, რომ ლეკთა ბრბო დაეცა ლაგოდეხის მიდამოებში შვიდს მუშა-ქართველს და ტყვედ წაიყვანა. ესენი არიან თამბაქოს მკეთებელნი. ხუთმა გამოიღო თავი ხუთ-ხუთის თუმნის საზღაურით და ორისთვისაც ბარათი ჩამოურთმევიათ, რომ აღნიშნულ დროს ამათაც წაუღონ ათი თუმანი. ამბობენ, ეს ლეკის უსუფას ავაზაკური ბრბო არისო. ასეა თუ ისე, ჩვენს მაზრას დიდი განსაცდელი მოელის ლეკთა თარეშობისაგან, თუ დროზე ალაგმულ არ იქმნა მათი თავხედური საქციელი. მაზრის უფროსი სტრაჟნიკებით წავიდა ბრბოს საძებნელად.

დღეს, 21 მაისს, სიღნაღის პოლიციის სამმართველოს კარმიდამო სავსეა სოფლელებით. რა ამბავია? ძველის-ძველი და გაუთავებელი დრამაა! ესენი არიან ანაგელები, ფანიანელები, საქობოელები და ასანურელები, იბრძვიან მამულებისა და საზღვრების გამო... და ამ ბრძოლას დასასრული არ უჩანს. მაზრის ადმინისტრაციამ ვერა და ვერ შესძლო ამათი გასამართლება, ამათი დამშვიდება. დროა არის კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ, მიაქციოს ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება და მიიღოს ზომები ოთხის საზოგადოების დასამშვიდებლად. სოფლები ერთხმად აღიარებენ: არ გვიჭირავს იმდენი მამული, რამოდენისასაც ხარჯს გვახდევინებენო. ამ დიდ-მნიშვნელოვან და საბუთიან საჩივარს გამოკვლევა უნდა.

ბევრის წვიმების შემდეგ კარგი ამინდები დადგა. ღვინის მოსავალს ვერ უჩანს კარგი პირი. საფიქრებელია, რომ ღვინის ფასი ძალიან აიწევს.

სიღნაღის ბაზარში ნიხრი გაუქმებულია. ერთსა და იმავე ხორცს გირვანქას ჰყიდიან ორშაურადაც, სამშაურადაც, ცამეტ კაპიკადაც; ეს დამოკიდებულია ყასბის ძმა-ბიჭობაზე და ხათრი-ჯანობაზე. ამის შემდეგ ისღაა გაუგებარი: რისთვის არსებობს სიღნაღის საზოგადო მმართველობა; დავიჯეროთ, მარტო იმისთვის, რომ ოცისთავს ბეჭითად მიიღონ ხოლმე ჯამაგირები! ქალაქი უსუფთაო და დაუგვლელია. მომავალი ხოლერა ფეხის მოსაკიდებლად სიღნაღში ჩინებულს ნიადაგს იპოვნის.

გოგრა-ქეცხა.

* * *

ღამის დეპეშები

რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

24 მაისი.

შანჰაი, 23 მაისი. ნაღმოსან „ბოდრის“ აფიცრები იუწყებიან ზღვაზე ბრძოლის შესახებ: ზარბაზნების ბრძოლამ მთელს დღეს გასტანა. ორის საათის ბრძოლის შემდეგ როჟესტვენსკი დაიჭრა და ფლოტის უფროსობა ნებოგატოვს გადასცა. დღისით ბრძოლის დროს იაპონელთა ფლოტიც საკმაოდ დაზიანდა. „ოსლიაბია“ იაპონიის კრეისერმა ჩასძირა. „ვლადიმერ მონომახი“ იაპონელთა პატარა კრეისერმა დაჰღუპა. „კნიაზ სუვოროვი“ დიდხანს თავგანწირულად ებრძოდა ჯავშნოსან „მიკაზას“, რომელმაც ჩქარა დაჰღუპა იგი. საღამოს კრეისერებმა თავი აარიდეს ნაღმის იერიშებს და სამხრეთისაკენ გამობრუნდნენ. მათ გაჰყვნენ ნაღოსნები „ბოდრი“ და „ბლესტიაშჩი“; უკანასკნელზე მოჰკვდა გემის უფროსი და თვით გემსაც გვერდი შეუნგრიეს. ცოტახნის შემდეგ გემი უკვე იღუპებოდა. მისი აფიცრები და მეზღვაურნი „პოდრი“-ზე გადავიდნენ, „პოდრიმ“ სიარულს უკლო და კრეისერებს „ჩამორჩა“, დარჩა ერთი და ზღვის ღელვის დროს ღუზა ჩაუშვა. დასალევი წყალი გამოელიათ. საჭმელს ზღვის წყალითა ჰხარშავდნენ. შანჰაიდან 80 მილზე დაინახა „ბლესტიაშჩიმ“ ინგლისის გემი და დიდხანს ვერ გაჰპედა ახლოს მისვლა. შემდეგ უკან გამოიბა იგი ჯამბარით და ვუზუნს მოიყვანა. 10 დაჭრილი საავადმყოფოში მოათავსეს. ზღვაში 3 მოჰკვდა.

ჰონკონგი, 23 მაისი (რეიტერი). მანილიდან მომავალმა სატრანსპორტო გემმა „ცაფირომ“ დღეს დილით დაინახა რუსთა მაშველი კრეისერი, ორი ნაღმოსანი და ერთი სამ-ბუხრიანი კრეისერი, რომელნიც ძალზე დატვირთულნი იყვნენ და სამხრეთ-დასავლეთად მიდიოდნენ.

მანილა. იაპონელების შვიდი იამხედრო გემი კორეჯიდორის კუნძულებისკენ მოდის. რუსების სამს კრესერზე დროებით ზარბაზნებს კლიტეები ააცალეს.

ნაგასაკი. „ორიოლ“-ის მეზღვაურები ამბობენ, რომ კომანდირის გარდა, მოკლულია 3 აფიცერი და 16 უნტერ-აფიცერი და მატროსი, დაჭრილია 10 აფიცერი.

ტოკიო. „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება: რუსების საავადმყოფო გემებზე ქალებიც იყვნენ, მათ შორის როჟესტვენსკის ძმისწული, რომელმაც ითხოვა ნება მისცენ თავის ბიძას მოუაროს. როგორც ეტყობა, რუსის აფიცრები სამშობლოში დაბრუნებას არ აპირობენ და პატიოსან სიტყვას არ იძლევიან. 21 მაისს შეკრიბეს და ჰკითხეს. მათგან უფროსი—„ორიოლ“-ის კომანდირი გაჩუმებული იყო. ერთმა უმცროს აფიცერთაგანმა სთქვა: „ჩვენ სევდა გვაწევს, ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ, თავგამოდებით ვიბრძოდით და ისეთი არა ჩაგვიდენია რა, რომ გვრცხვენოდეს, მაგრამ შინ ვერ დავბრუნდებით, ვიდრე ბრძოლის ამბავს დაწვრილებით არ შეიტყობთ. სჯობს, იაპონიაში დავრჩეთ ზავის შეკვრამდე“. იაპონელებმა ურჩიეს, კიდევ კარგად მოიფიქრეთო და ერთი დღის ვადა მისცეს.

პეტერბურგი. (ოფიციალურად). უმაღლესის ბრძანებით, პოლიციის ორგანოების მოქმედების გასაერთებლად კავკასიის სანამესტნიკოში, დაარსებულ იქმნება პოლიციის გამგებლის თანამდებობა კავკასიაში. დაარსებულ იქმნება პოლიციის გამგებლის კანცელარია; კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებაში გადაეცემა ყოველ წელს 100,000 მ. საპოლიციო ნაწილის საიდუმლო ხარჯებისათვის.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 10 მაისი 1905 წ.

სამ-თვიან ვექსილის კურსი:

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,05
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,67½
ბირჟის დისკონტი	5½—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	83⅞
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ.	—
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	377
% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	288
% გირ. ფურც. სახ. სადგ.-მამ. ბანკ.	254½
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4½% გრავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ.ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	192
ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს.წ. ·ı II) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპნამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20წ. (2 ს. 18 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვი . ქიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიმიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

აბასთუმანში

მშვენიერ სააგარაკო ადგილს, ორ ქალას შუა, ფირალაშვილის სახლში, დაკლებულ ფასით იძლევა ქირით ოთახები თითო-თითო და მეტიც, თავის მოწყობილობით. მსურველთ მიმართონ იქვე ლევან სიმონის ძე ფირალაშვილს.

(3--3)

კანტორა

„კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საზოგადოებისა“ იმყოფება ქ. ტფილისში, ტურგენევის ქუჩაზე, № 11, და ღიაა დილის 9 საათიდან 11 საათამდის. (10—უ—6)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ბორჯომში ქირით იძლევა ახლად შეკეთებული, ავეჯით მოწყობილი, ორ-სართულიანი საგარაკო სახლი, რომელიც ი. ს. აბესალომოვისა იყო, ეხლა კი ქალ. ტფილისს ეკუთვნის. ქვემო სართულში 5 ოთახია, ზედაში 4 ოთახი. პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობის მე 4 განყოფილებაში, ყოველ დღე, გარდა უქმეებისა, დილის 10 საათიდან შუადღის 2 საათამდე. (3—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 5 ივნისს, ამა წლისას, შუადღის 12 საათზე, იჯარით გაიცემა კანალიზაციის გაყვანა ქალაქის შემდეგ ქუჩებზე:

1. აკიმოვისა და უგოლნი ქუჩაზე მე 5 ნაწ.
24 საჟ. ბეტონის მილი სისქე 0,16×0,10 ს.
70 საჟ. „ „ „ 0,24×0,16 „
8 დასათვალიერებელი ჭა—3.

2. თამარის ქუჩა და თუმანოვის შესახ. მე-9 ნაწ.
68 საჟ. ბეტონის მილი სისქე 0,24×0,16.
დასათვალიერებელი ჭა—2.

3. ხარაზების ქუჩა (ბაშმაჩნი რიად) მეხოვი ტუპიკი და სომხის ბაზარზე მე-5 ნაწ.
45 საჟ. ბეტონის მილი სისქე 0,375×0,25.
30 საჟ. „ „ „ 0,16×0,10.
დასათვალიერებელი ჭა—2.

წერილობითი განცხადება, ზემოაღნიშნულ **სამუშაოს ფასებით, შეტანილ უნდა იქმნას დაბეჭდილ კონვერტებში ამა წლის 5 ივნისისთვის.**

ვაჭრობის მსურველთ კონდიციები შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა, დღის 1 საათიდან 3 საათამდე.

(3—2).

პირველად ქართულს ენაზე

✦ ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი ✦

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც შეკრებილ-განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასათვის გასაგების ენითა და მაგალითებით,—რუსულისა და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი **იოსებ იმედაშვილის** მიერ. წიგნს დართული აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. **„უცხო ანდაზები** და **წინადადებანი,** რომელიც არა ერთგზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 სვ., დაბეჭდილია სუფთად, კარგ ქაღალდზე და ღირს **მხოლოდ 1 მან.,** საუცხოვო (ოქროს-ვარაყიან ასოებით დაბეჭდ.) კალენკორის ყდით—მანათ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 30 კ. წიგნი ფას-დადებითაც შეიძლება გაიწერონ. უმთავრესი საწყ. ტფილისში, ქვაშვეთის ქ., გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრესი: **Тифлисъ, книжная торг. І. З. Имедашвили.**

(10—6.—5).

განცხადება

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მმართველობა ამით აცხადებს, რომ, ბანკის წესდების მე-14—§-ის თანახმად, ამა 1905 წლის ივნისში, ქ. ტფილისს, ბანკის სადგომში, ფრეილენის ქუჩაზე, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სახლში, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება უძრავი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გარდასახადთა შემოუტანლობისათვის, მე-12, 17, 27, 38 და 36 §§-მებრ.

ვაჭრობა იმ მამულებისა, რომელზედაც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული, მოხდება: **ქალაქის მამულებისა** ა) **ტფილისისა** 27 ივნისს, ბ) **ტფილისის გარეშე ქალაქებისა** და აგრედვე იმ მამულებისა, რომელზედაც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული, როგორც ქალაქის მამულებზე—28 ივნისს, გ) **სოფლის მამულებისა**, რომელზედაც გაცემულია გრძელ-ვადიანი სესხი—30 ივნისს, და დ) სოფლის და ქალაქის მამულებისა, რომლებზედაც გაცემულია ხანმოკლე-ვადიანი სესხი—30 ივნისს.

მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა ყველა მამულებისა, ბანკის წესდების მე-20 §-ის თანახმად, მოხდება იმავე გამგეობაში ამა 1905 წლის 14 ივლისს.

ბანკის წესდების მე-17 §-ის თანახმად, ვაჭრობა ქვემოხსენებულ ვალის ჯამიდან დაიწყება და მასვე მიემატება სავადო, საერობო და აგრეთვე საქალაქო ხარჯები.

ვისაც ამ მამულების ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, რომელთა გირავნობის ქვეშ გაცემულია გძელ-ვადიანი სესხი, აგრედვე ის მოკლე-ვადიანი სესხნი, რომელთა თავნი ვალის გადასახადის ვადა ჯერ არ გათავებულა,—ვალდებულია ნაღდ ფულად წარმოადგინოს გირაო, რომელიც უნდა უდრიდეს ბანკში შესატან დარჩენილ გარდასახადთა და აგრედვე იმ დარჩენილ საერობო და საქალაქო გარდასახადთა, რომლებიც ვაჭრობის დღისთვის მამულზე აღმოჩნდება. იმ მამულებისა კი, რომელთა გირავნობის ქვეშაც გაცემულია მოკლე ვადიანი სესხი და რომელთა გადასახადის ვადა დამდგარა—უნდა წარადგინოს გირაო, ზემო-აღნიშნულ თანხას გარდა, თავნი ვალის კიდევ 10%.

ვაჭრობის დამთავრების შემდეგ, მყიდველი ვალდებულია წარმოადგინოს: ნასყიდობის გარდასახადი—7 დღის განმავლობაში და ის ფული, რომელსაც ვაჭრობაში წაუმატებს, 14 დღის განმავლობაში ვაჭრობის დამთავრების დღიდან.

თავნი ვალი გრძელ-ვადიანი სესხისა, აგრედვე იმ მოკლე-ვადიანის სესხისა, რომელთა გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა, მყიდველს შეუძლიან თავის სახელზე გადაიტანოს ისე კი, რომ პირველ მფლობელის ვალდებულება თვითონ იკისროს, ხოლო იმ მოკლე-ვადიან სესხის თავნი ვალი კი, რომლის გადახდის ვადა დამდგარია, მყიდველმა სავსებით უნდა გადაიხადოს ნაღდ ფულად 14 დღის განმავლობაში ვაჭრობის დამთავრების დღიდან.

ბანკის წესდების მე-15 §-ის თანახმად, პატრონს შეუძლიან შემოიტანოს დარჩენილი გადასახადი ვაჭრობის დღემდე და მით მამული გაანთავისუფლოს ვაჭრობიდან.

ვისაც ვაჭრობაში სურს მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან გასასყიდი მამულების შესახები საქმენი ბანკის კანცელარიაში განიხილოს ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა.

ამასთან ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ თუ ვინიცობაა პირველი ცნობები გასასყიდად მომზადებულ მამულის შესახებ არ შეეთანხმება დღევანდელ მის ვითარებას, იგი ამისთვის პასუხის-მგებლობას არა კისრულობს.

V. სოფლის მამულები.

რომელთა გირავნობითაც გაცემულია მოკლე ვადიანი სესხი და რომელთა ვალის გადახდის ვადა უკვე დადგა საჯარო ვაჭრობა 30 ივნისს, 1905 წ.

თელავის მაზრა.

გოგიევი გეურქ ივანეს ძე: ვენახი ზომით 2 დეს. 150 ოთხკ. საჟ., აგარაკ მუკუზანში.

თავნი ვალი 420 მ. 00 კ., შესატანი გარდ. 72 მ. 80 კ., სულ 447 მ. 82 კ.

გიგნიევი დავით ივანეს ძე: ვენახი 6, დეს. აგარაკ ქვემო-ხოდაშენში.

თავნა ვალი 1000 მ. 41 კ., შესატ. გარდ. 41 მ. 80 კ., სულ 1041 მ. 80 კ.

ჯანდიერი ლევან გიორგის ძე: ვენახი და ხილის ბაღი ზომით 1 დეს. 2180 ოთხკ. საჟ., სოფ. ვაჩნაძიანში.

თავნი ვალი 1200 მ. 00 კ. შესატა. გარდ. 60 მ. 88 კ. სულ 1260 მ. 88 კ.

ჯორჯაძე დავით გიორგის ძე: საჯარო ვაჭრობით მათზე დარჩენილი მამული ჯორჯაძე ეკატერინე ათანასეს ასულისა: ვენახი ზომით დაახლოვებით 10 დეს. აგარაკ გრემში.

თავნი ვალი 1400 მ. 00 კ., შესატ. გარდ. 68 მ. 52 კ., სულ 1468 მ. 52 კ.

ჯორჯაძე თამარა ირაკლის ასული (საჯარო ვაჭრობით მასზე დარჩენილი მიხეილ და კონსტანტინე ჯორჯაძეების მამულები) ზომით 3 დეს. 2160 ოთხკ. საჟ., სოფ. საბუეში.

თავნი ვალი 1400 მ. 00 კ., სშესატან გარდ. 269 მ. 36 კ., სულ 1669 მ. 36 კ.

მაყაშვილისა ანნა რევაზის ასული: ვენახი ზომით 3 დეს. 540 ოთხკ. საჟ., აგარაკ რუისპირში.

თავნი ვალი 240 მ. 00 კ., შესატნი გარდ. 20 მ. 20 კ., სულ 260 მ. 20 კ.

ტუსიშვილისა ტატიანა რომანის ასული: სხვა და სხვა მიწები, ზომით 5 დეს. 920 ოთხკ. საჟ., აგარაკ ტოლნიანში.

თავნი ვალი 1200 მან., შესატ. გარდ. 61 მან., სულ 1261 მან.

ჩიკვაიძე ნატალია გიორგის ასული: სამოსახლო ადგილი და ვენახი, ზომით 5 დეს. 1680 ოთხკ. საჟ., სოფ. ახატელში.

თავნი ვალი 900 მან., შესატ. გარდ. 48 მან. 16 კაპ. სულ 948 მან. 16 კ.

ქალაქ ტფილისში.

ხელაძე ანდრია დავითის ძე: შენობები მიწით, ზომით დოკუმენტით 142 ოთხკ. საჟ., შეფასების აქტით 130 ოთხკ. საჟ., 1 ნაწილში, ყაზბეგის ქუჩაზე.

თავნი ვალი 12000 მან., შესატ. გარდ. 518 მ. 80 კ., სულ 12518 მან. 80 კ.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 24 мая 1905 г.

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.